სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 თებერვალი 2005 №22 (2345) ფასი 50 თეთრი



სახელმწიფო სტუმრიანობა დინამოში

დავით ნამგალაური დიდების გზას ეწვია

2

თბილისი. რომელიც თბილისს არა ჰგავს

რამ მიიყვანა ბუნდი დაშლამდე?

3

NBA-ს ღეგენდები



ბობ კოუზი: პატარა ჯადოქარი

12

ჭიდაობამ მთელი მჭიდი დაცალა

კლასიკური ამბების თავისუფალი გაგრძელება

სერიას სიუჟეტი გაუმძაფრდა



ბურაგ დოლიძეს ფოტო

სამარბელო დინამო

კომპრომისები კლუბსა და ნაკრებს შორის

დღეს, გამთენიისას ობილისის „დინამო“ ესპანეთის საკურორტო ქალაქ მარბელაში გაემგზავრა, სადაც ოთხთა ტურნირზე ითამაშებს ამ განრიგით: 5 თებერვალს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“, 7-ში დონეცკის „შახტართან“, 9-ში მოსკოვის „სპარტაკთან“. მატჩების ტრანსლაცია დაგეგმილი აქვს რუსულ ტელეკომპანია НТВ ФУТБОЛ-ს.

„დინამოს“ თავკაცმა გია გეგუჩაძემ სამარბელოდ ეს ფეხბურთელები შეარჩია:

მეკარეები: ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე;

მცველები: ლაშა სალუქვაძე, ლევან სილაგაძე, სერგო ორბელაძე, შოთა კაშია, ლაშა ჭელიძე;

ნახევარმცველები: ზაალ ელიავა, დავით ოდიკაძე, ილია კანდელაკი, ლაშა ხმალაძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარული, ლაშა ნოზაძე, შოთა ბაბუნაშვილი, გოვიტა გოგუა, გიორგი ქუცურია, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, სეზარ რომერო, კახა მახარაძე;

თავდამსხმელები: ლევან მელქაძე, ჯაბა დვალი, მიხეილ კაკალაძე.

სალუქვაძე, ოდიკაძე და გოგუა ტურნირის პირველი მატჩის შემდეგ თბილისში დაბრუნდებიან, რადგან ისინი ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი 9 თებერვლის ამხანაგურ მატჩში ლიტვასთან.

„დინამოს“ მარბელაში რიგი ფეხბურთელების გარდა არ გაჰყვებიან ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების წევრებიც: გიორგი შაშიაშვილი, დავით კვირკველია, ბექა შეყრილაძე და ჯაბა კანკავა.

დავით თამართილაძე

სახელმწიფო სტუმრიანობა დინამოში

ბურაგ დოლიძეს ფოტო

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურს (მარჯვნივ) „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა უმასპინძლა

გუშინ დიდმის ბაზაზე სტუმრიანობა იყო — თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა და მწვრთნელ-ფეხბურთელები სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა და პარლამენტარმა ვალერი გიორგობიანმა მოინახულეს.

დინამოელებმა დილით ივარჯიშეს და სტუმრებს ნაშუადღევს დაუხვდნენ.

შეხვედრაზე ზოგადი ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს „დინამო“, თუ რა მნიშვნელობის და ტრადიციების კლუბია. საუბარი შეეხო საქართველოში ფეხბურთის განვითარების საკითხებსაც.

ვიზიტის ბოლოს კი სტუმრებმა თანდგომა ალუთქვეს დინამოელებს — მუდამ თქვენს გვერდში გეგულეთო.

უცხოტოველი ტომისთვის

ლევან მიქაძეს პრემიერლიგის შანსი აქვს

საქართველოს ჩემპიონატებს თვალს თუ ადევნებთ, ლევან მიქაძე უთუოდ გეხსომებთ. სოსუმის „ცხუმის“, ზუგდიდის „ოდიშის“, თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ყოფილი მცველი ჩვენში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და საიმედო ფეხბურთელად ითვლებოდა.

1997-98 წლების სეზონში მიქაძე პოლონურ „პოგონში“ გადაბარგდა, მოგვიანებით კი უკრაინული „არსენალისა“ და „კრივბასის“ ღირსებასაც იცავდა.

ახლა კი 31 წლის ლევანს შანსი აქვს, რუსულ პრემიერლიგაშიც მოსინჯოს ძალა — მისით პრემიერლიგის დებიუტანტი „ტომი“ დაინტერესდა და გასინჯვაზე მიიწვია.

მიქაძემ ერთხელ უკვე ითამაშა „ტომის“ შემადგენლობაში — საკონტროლო მატჩში დაბალლიგელ „ჩკალოვეცთან.“ მეტოქეები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ, ტომსკელთა თავკაცმა ბორის სტუკალოვმა კი ჟურნალისტებს უთხრა: „მარჯვენა მცველად ქართველი მიქაძე ვათამაშე. მას ყურადღებით ვაკვირდებოდი, თუმც გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ლევანს კიდევ მივცემ შანსს და მერე გავარკვევ, გავაფორმებთ თუ არა მასთან კონტრაქტს“.

ბადრი ჯიელაძის ფოტო

ლევან მიქაძემ (მარჯვნივ) „ტომს“ თავისი უნდა დაუმტკიცოს

კახა შალამბერიძე

დღეს: გიუნეში VS ჩიმაკაძე

ტრაპიზონში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — ჯემალ ჩიმაკაძემ ახალგაზრდული შემადგენლობა გაიყვანა თურქეთის სუპერლიგის გუნდ „სებათსფორის“ დუბლებთან. მატჩი ჩვენებურებმა 2:0 მოიგეს.

„ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გვარამაძე (სტურუა 46), ფოფხაძე, კირვალიძე, სეთურიძე, სანიკიძე, ულენტი, ყიფიანი, ავალიანი, დავითულიანი, რეხვიაშვილი (კახელიშვილი 60), ბარბაქაძე (ალავერდაშვილი 60).*

ლოკომოტიველები პირველ ტაიმში დაწინაურდნენ — ბარბაქაძემ თავისივე მონადირებული პენალტით გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმში სანიკიძის ჯასით ულენტმა შეაგდო თავური.

„ლოკომოტივის“ ძირითადი შემადგენლობა კი დღეს ითამაშებს საკმაოდ სერიოზულ მეტოქესთან — სუპერლიგელ „ტრაბზონსფორთან“, თუმც შენოლ გიუნეში პირველი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელის გარდა რამდენიმე სარეზერვოსაც გაიყვანს „ლოკომოტივთან“.

მოკლედ, „ტრაბზონსფორი“ შერეული შემადგენლობით ეპაექრება „ლოკომოტივს“.

„ეს მნიშვნელოვანი თამაში იქნება, კარგად გამოჩნდება ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები“ — გვითხრა „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ ჩიმაკაძემ.

დავით თამართილაძე

ხიზანეიშვილი ბუნდესლიგაში

„ფრაიბურგის“ ახალწვეული ოთარ ხიზანეიშვილი ბუნდესლიგის მე-19 ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა ცნობილმა გამოცემა „კიკერმა“.

ამ ტურში „ფრაიბურგმა“ შინ „ვოლფსბურგი“ 1:0 დაამარცხა, ხიზანეიშვილმა კი „კიკერისგან“ საკმაოდ მაღალი შეფასება — 2 მიიღო (მაქსიმალურია 1).

„ვოლფსბურგამდე“ ხიზანეიშვილმა როსტოკში „ჰანზასთან“ ითამაშა — ეს მისი სადებიუტო მატჩი იყო ბუნდესლიგაში და მაშინაც კარგი შეფასება დაიმსახურა „კიკერისგან“ — 2,5.

ლუკა თალაკვაძე

კოდალაევმა კრივბასში დაიბუდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე ბესიკ კოდალაევი უკრაინულ „კრივბასში“ გადავიდა. კრივიოროველებმა ჩვენებური ლუკის „ვოლინიდან“ გადაიბარეს, თუმც ისიც სათქმელია, რომ კოდალაევს „ვოლინში“ ერთხელაც არ უთამაშია.

სხვათა შორის, „კრივბასში“ ჩვენებურებს ადრეც უთამაშიათ — ზურაბ ფოფხაძე და ლევან მიქაძე გუნდის ლიდერებადაც ითვლებოდნენ.

„კრივბასი“ სამი დღის წინ ანთალიურ შეკრებაზე გაემგზავრა და გუნდს კოდალაევიც გაჰყვა.

შეგახსენებთ, რომ ბესიკს უკრაინამდე ბელარუსის ჩემპიონატშიც უთამაშია, როცა ორიოდ წლის წინ მოზირის „სლავიაში“ ირიცხებოდა.

კახა შალამბერიძე

ჰოლანდია

I დივიზიონი. XX ტური

ფსვ ეინდჰოვენი 4:1 როზენდალი

შოტლანდია

ლიგის თასი ნახევარფინალი

რეინჯერსი 7:1 დანდი იუნ.

საფრანგეთი

ლიგის თასი ნახევარფინალი

კანი 3:1 მონაკო

ბელგია

თასის მეოთხედფინალი

პირველი მატჩები

გენკი 1:1 ბეერსხოტი

ბრიუგე 2:2 ლუვიე

ლოკერენი 2:1 გენტი

შარლეროა 3:1 ლიერსი

საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი

საკასუხო მატჩები

ოლიმპიაკოსი 2:0 ირაკლისი (0:1)

კალამარია 0:0 ოფი (1:1)

ხალკიდონა 1:0 *ლარისა* (1:3)

ამხანაგური მატჩები

იაპონია 3:0 სირია

საუდის არაბეთი 0:0 უნგრეთი

ირანი 2:1 ბოსნია

ინგლისი

პრემიერლიგა. XXV ტური

ბირმინგემი 2:1 საუთჰემპტონი

ბლეკბერნი 0:1 ჩელსი

ევერტონი 1:0 ნორვიჩი

ფულჰემი 1:1 ასტონ ვილა

მანჩესტერ სიტი 1:1 ნიუკასლი

იტალია

სერია A. XXII ტური

ფიორენტინა 1:2 პალერმო

ინტერი 1:0 ატალანტა

იუვენტუსი 0:1 სამპდორია

ლაციო 0:0 ბრეშა

ლეჩე 1:1 რომა

ლივორნო 1:1 რეჯინა

მესინა 1:4 მილანი

სიენა 2:2 კალიარი

უდინეზე 3:0 კიევო

სერია B. XXIV ტური

კატანია 2:0 კატანზარო

ესპანეთი

სამეფო თასი

მეოთხედფინალი. I მატჩი

ნუმანსია 0:0 ატლეტიკო

სამეფო თასი. მეოთხედფინალი

საკასუხო მატჩები

ოსასუნა 3:1 სევილია (1:2)

ბეტისი 4:3 გრანადა (2:2)

თბილისი, რომელიც თბილისს აღარ ჰგავს ნახეთ, როგორ აშენდეს...

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის „თბილისის“ დაშლის ამბავი. კლუბის ხელმძღვანელობამ სხვა გზა ვერ მოიძია — გადასახადებს ვეღარ აუდის და გუნდის 21 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა. უფრო ვრცლად „თბილისის“ ასავალ-დასავალზე და ქართული ფეხბურთის მუქ ფერებზე კლუბის პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ და დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს...



„თბილისის“ პრეზიდენტი ნიკა დოლიძე, დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი, მწვრთნელები — ლუის ცაკარიასი და გოჩა თამაზაშვილი

ბადრი ჯეელაძის ფოტო

„როგორც იცით, 8 ფეხბურთელი — ბექა შეყრილაძე, გოგიტა გოგუა, რევაზ გეწაძე, ზაალ ელიავა, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გოგი ფიფია, სერგო ორბელაძე და დავით ოდიკაძე — თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს და კარიერას, ალბათ, იქ გაგრძელებს. თუმც გოგუას, ისევე როგორც გოჩა ხოჯავას, უცხოური კლუბები იწვევენ და საქმე საქმეზე თუ მიდგა, ორივეს საზღვარგარეთ ვავუშვებთ. ისე, ხოჯავა „ბათუმსაც“ სურს და დღეს რევაზ ჩელებაძესთან გვექნება ამ საკითხზე საუბარი. რაც შეეხება ორბელაძეს, იგი ჯერ „დინამოშია“, თუმც „ზესტაფონსაც“ უნდა მისი შეძენა. და თუ იმერლებმა მეტი თანხა გადაიხადეს, სერგო ძათი იქნება“ — ამბობს მამუკა გუგეშაშვილი.

როგორც გაირკვა, ამსტერდამის „აიაქსმა“ გოგუას გარდა ხოჯავასაც დაადგა თვალი. გუგეშაშვილის ცნობით, საქართველო — ლიტვის ამხანაგური მატჩის სანახავად ჰოლანდიური გიგანტის სელექციონერი რუდი კროლი ჩამოვა, რომელიც გოგიტასა და გოჩას დააკვირდება. „აიაქსის“ სათადარიგო ვარიანტი კი ერთ-ერთი რუსული კლუბი ყოფილა — მათ გოგუა-ხოჯავას გარდა ვარაცხელია და ქემოკლიძეც სურთ. ეს, ასეთი მსუყე სატრანსფერო ფეხბურთელები ჰყავს „თბილისს“. უფრო სწორად, ჰყავდა.

თბილისელები კვარაცხელიასა და ქემოკლიძის გაყიდვას არ ჩქარობენ. ეს კი არა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ისინი ამ სეზონს ლუის ცაკარიასის ხელქვეით ჩაამთავრებენ. „მეორე ეტაპისთვის მთლიანად ნაბიევ სკოლის 1987-88 წლებში დაბადებული ბავშვები ავიყვანეთ, მათ კერდით კი ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელი აუცილებლად უნდა თამაშობდეს. ამიტომაც თითო რგოლში თითო კაცი დავიტოვეთ — მეკარე სოსო გრიშიკაშვილი, მცველი ქემოკლიძე და ნახევარმცველი კვარაცხელია. დღეს „კოლხეთის“ წინააღმდეგ ლოლაძემ, ჯიქიამ და მესხმაც ითამაშეს, თუმც ისინიც ტრანსფერზე არიან დაყენებულნი“ — თქვა გუგეშაშვილმა. ლუის ცაკარიასმა კი ახალგაზრდა თბილისელები შეაქო, მათ დიდი ხანია ვაკვირდები და ეს ბიჭები არა მარტო „თბილისს“, არამედ მთელ ქართულ ფეხბურთს გამოადგებიანო.

...და მაინც, რამ მიიყვანა საქართველოს ერთ-ერთი უსიმპათიურესი გუნდი ნაწილ-ნაწილ დაშლამდე? გლობალური მიზეზი უკვე ვთქვით, ნიკა დოლიძე კი შიშობს, რომ მალე საქართველოში ერთი ხელრიანი კლუბიც კი არ დარჩება:

„ქვეყანაში საფეხბურთო გარემო არ არის. ბიზნესმენების მოზიდვა და სახელმწიფოს ფეხბურთით დაინტერესება თუ არ მოხდა, ყველა ქართულ კლუბს დალუპვა ელის. აგერ, აზერბაიჯანში უკვე დაიწყო ჩვენიანების გადინება. რატომაც არა, იქაურ კლუბებში ფეხბურთელებს 3 000 დოლარი აქვთ ხელფასი, პრემიებით კი ზოგიერთნი 11 000-საც იღებენ. ჩვენ ამდენი როგორ გადავუხადოთ მოთამაშეს, როდესაც „ოლიმპის“ სკოლა და, ვთქვათ, 10 რესტორანი ერთნაირ თანხას უხდიან სახელმწიფოს. აქ გადასახადი მიწის მოცულობით იზომება, მაგრამ რესტორანს მოგება რჩება, ჩვენ კი რა გვრჩება?“

მამუკა გუგეშაშვილმა „თბილისის“ მოთამაშეების უდისციპლინობაზეც გაამახვილა ყურადღება და 21 კაცის გასხვისება ნაწილობრივ ამასაც დაუბრალა: „მოსკოვში გამართულ თანამეგობრობის თასზე „კუნასთან“ თამაშის წინა ღამეს, ფაქტობრივად, არც ერთ ფეხბურთელს სასტუმროში არ სძინებია. ისედაც, „თბილისი“ ყველაზე უდისციპლინო გუნდი იყო ჩემპიონატში და ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. რამდენიმე მოთამაშეს კლუბში ვერ ვაკავებდით, მათი გაშვება გადავწყვიტეთ და როდესაც 6-7 წამყვანი კაცი მიდის, დანარჩენების დატოვება მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ. ამ დროს ჯობს, ახალი გუნდის შენება დაიწყოს და კიდევ, ერთი დიდი პრობლემა კიდევ მენეჯერების მოზღვავებაა, რომლებსაც ქართველი ფეხბურთელები ვითომ გასაყიდად მიჰყავთ და ვერ ყიდიან. მერე ეს ფეხბურთელები უთამაშებლები რჩებიან და თავგზა ებნევათ“.

...მაგრამ არც ისე წვიმს, როგორც ქუხსო. გუგეშაშვილი მაინც იმედიანადაა, ზოგს რომ ჰგონია, „თბილისი“ ყველა თამაშს წააგებს, ამას ვერ ელირსებიანო. კლუბის დამფუძნებლის თქმით, მან საევროპო პერსპექტივა ვერ დაინახა: „ძველი გუნდით ისევ ისეთი სირცხვილი გველოდა, რაც „ლეგიასთან“ ვჭამეთ. საქართველოში კიდევ ბევრს ვვობივართ ფინანსურად. ჩემპიონატის სამეულში მოხვედრას არ გამოვრიცხავ, თასი კი 90 პროცენტით ჩვენი იქნება. მარტო თანხა არ არის ფეხბურთის ძირი — „თბილისზე“ ხუთჯერ მეტი ბიუჯეტიც რომ ჰქონდეთ, ჩვენ თუ სწორი გზით ვივლით, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოები ვიქნებით“.

დასასრულ მამუკა გუგეშაშვილი ზოგადად ქართული კლუბების პრობლემებს შეეხო — „დინამოში“ ახლა 38 ფეხბურთელია, ღღეისთვის შემადგენლობაში ისინი უდავოდ უძლიერესები არიან, მაგრამ კონკურენტი თუ არ ეყოლებათ, მათი საქმეც შავად წავა.

მოკლედ, „თბილისი“ ახალ აღმართს შეუდგა და, მართალია, სწავლის ძირი მწარეა და, როგორც გუგეშაშვილი ამბობს, პირველ მატჩებში ჩავარდნა ექნებათ, მაგრამ კენწეროში გატეხილებას ელიან... რა თქმა უნდა, თუ სახელმწიფო მოწყალე თვალით გადმოხედავს ფეხბურთს.

ილია ნანოგაშვილი

ახალი თბილისის პრეზენტაცია

გუშინ „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში დიდი ერიამული იყო, რომელსაც თავისებური სევდაც დაჰკრავდა. „თბილისი“ საკონტროლო მატჩში ფოთის „კოლხეთს“ ეთამაშებოდა, მაგრამ ეს ის „თბილისი“ არ იყო, საქართველოს ჩემპიონატში გულშემატკივართა სიმპათიებს რომ იხვეჭდა.

მოგეხსენებათ, გუნდი თითქმის დაიშალა და გუშინ „კოლხეთს“ 1988 წელს დაბადებული უწვერული ბიჭებით ეპაექრა, რომლებიც აქამდე თენგიზ კაციას ხელმძღვანელობით რეგიონალლიგაში აგორებდნენ ბურთს...

და მაინც, ახალმა „თბილისმა“ უმაღლესლიგელ „კოლხეთს“ დამაჯერებლად მოუგო. მატჩის პირველივე წუთებზე ფოთელები მიხეილ თაყაძემ დააწინაურა, თუმც ტაიმის შუაწელს საბა მუმლაძემ პენალტით გაათანაბრა.

მეორე ნახევარში „თბილისში“ „ძველი გვარდიის“ ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ — რევაზ ქემოკლიძემ, გიორგი ლოლაძემ, შოთა ჯიქიამ, მიხეილ მესხმა და გივი კვარაცხელიამ დედაქალაქელთა შეტევები გაამძაფრეს, რასაც ორი გოლი მოჰყვა: ჯერ გიორგი ბერიშვილმა გაიტანა, მერე კი რევაზ ბარაბაძემ თავურით წერტილი დასვა — 3:1.

ყველას აინტერესებს „თბილისის“ ახალი სახეები და აგერ, „კოლხეთთან“ ნათამაშები შემადგენლობაც: *თევდორაძე, მიქაძე, ფირანიშვილი, გ. დარასელია, ბოჭოიძე, მიქელაძე, კვასხვაძე, მუმლაძე, შერმადინი, გ. ბერიშვილი, მაყაშვილი.*

მეორე ტაიმში შეევიდნენ — *ქემოკლიძე, კვარაცხელია, ჯიქია, ლოლაძე, ჟღენტი, კოლაძე, ნასრაშვილი, დ. იაშვილი, რ. ბარაბაძე, მ. ბარაბაძე, სიხარულიძე.*

ჭაბუკი თბილისელების ბურთაობას ლუის ცაკარიასიც ესწრებოდა. პერუელმა მწვრთნელმა ის ბიჭები გაიცნო, ვისი დამოძღვრაც ჩემპიონატის მეორე ეტაპზე მოუწევს.

აქვე „კოლხეთზეც“ ვთქვათ. სერგო გაბელაიას გუნდმა, რომელიც კარგა ხანია, თბილისში ვარჯიშობს, ტესტ-მატჩების გამართვა გუშინ დაიწყო. ჯერჯერობით ზღვისპირელებს, მეკარე ზურაბ ბათიაშვილის გარდა, ასე თუ ისე სახელიანი ფეხბურთელი არ შემატებიათ.

კოლხებმა „თბილისთან“ ორი შემადგენლობით ითამაშეს: *ბათიაშვილი, მინდაძე (ბოროზია 46), ჯ. შალამბერიძე (ჭუტიძე 46), ჭითანავა (ყურაშვილი 46), ცქიფურიშვილი (მარვალიტაძე 46), მელიქია (გ. თოდუა 46), შველიძე (ქობულაძე 46), თაყაძე (კუნჭულია 46), აკობია (ვართაგავა 46), ლ. ხიზანიშვილი (ჭუთათელაძე 46), ლებანიძე (ნ. ნარსია 46).*

ილია ნანოგაშვილი

თბილისელთა თავკაც ლუის ცაკარიასს ხელთ უწვერული ბიჭები შერჩა

პატარა თბილისელებმა „კოლხეთი“ იოლად მოინელეს

ბადრი ჯეელაძის ფოტოები

გიორგი მოდებაძე „ვენტსპილსის“ კონტრაქტთან ახლოსაა

სკონტო თუ ვენტსპილსი: რომელი უფრო ქართულია?

ლატვიურ „ვენსტსპილსში“ ორი ქართველი, ლაშა ჩხაიძე და გიორგი მოდებაძე ისინჯება. ჩვენებურები ბალტიისპირეთში დაახლოებით ერთი კვირის წინ წავიდნენ და ახლახან პირველი საკონტროლო მატჩიც ჩაატარეს ახალ გუნდში — „ვენტსპილსი“ ესტონურ „ლევადიას“ გაეჯიბრა და 3:2 მოუგო.

ლატვიელი ჟურნალისტების თქმით, „ვენტსპილსი“ ძველ მოშუღარ „სკონტოს“ არა მარტო ჩემპიონობისთვის ებრძვის, არამედ მეტსახელის ართმევასაც უპირებს — „სკონტო“ ჩვენში ყველაზე ქართულ გუნდადაა ცნობილი, თუმც შესაძლოა, ასეთი პატივი წლეულს „ვენტსპილსს“ ერგოსო — წერენ იქაური ჟურნალ-გაზეთები.

მოკლედ, ექსლოკომოტიველ ჩხაიძეს და ექსთბილისელ მოდებაძეს ლატვიელები კარგი თვალით უყურებენ და ეს სიმპათიები „ლევადიასთან“ მატჩშიც გამყარდა — მოდებაძემ ორი გოლი გაუტანა მეტოქეს და მწვრთნელის ქებაც დაიმსახურა.

ჩხაიძე-მოდებაძის წყვილმა, „ძველ“ ვენტსპილსელ ალექსანდრე რეხვიაშვილთან ერთად, პირველი ტაიმი ითამაშა. გიორგის პირველი გოლი კი „ვენტსპილსისთვისაც“ პირველი გამოდგა 2005 წელს.

— ქართველ ახალწვეულებს კიდევ დავაკვირდებით და მერე კონტრაქტზეც ვისაუბრებთო — განაცხადა გუნდის მწვრთნელმა იგორ სტეპანოვსმა.

„ლევადიასთან“ მატჩმა კი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, ესტონელი ლეიტანი „შეიწირა“ — ის დაიწუნეს.

ქახა შალამბერიძე

ჭანტურია ფეხბურთში ზაკარპატიემ დატოვა

სიმფეროპოლის „ტავრიადან“ აბარგებული ქართველი მეკარე გია ჭანტურია შესაძლოა, უკრაინაში დარჩეს და იქაურ „ზაკარპატიესთან“ გააფორმოს კონტრაქტი. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაიწყო და რა როგორ იქნება, მალე გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე „ტავრიადან“ ორიოდ თვის წინ წამოვიდა და მას შემდეგ უგუნდოდაა. ჭანტურია თითქოს საქართველოში დაბრუნებას და ფეხბურთიდან წასვლას აპირებდა, თუმც მოულოდნელად „ზაკარპატიეს“ ვარიანტი გამოუჩნდა და...

„ზაკარპატიე“ უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერია და ზამთრის შესვენებაზე ბლომად ახალწვეულები მიიწვია გასასინჯად.

„ტავრიამდე“ ჭანტურიას გორის „დილაში“, „ბათუმში“ და ქუთაისის „ტორპედოშიც“ უთამაშია და საქართველოს ჩემპიონიც გამხდარა.

ქახა შალამბერიძე

ბორის პაიჭაძე — 90

ბორის პაიჭაძემ ერთხელ თქვა, ძალიან გამიკვირდა, როცა თამაშის შემდეგ სიტყვა „ფული“ მიხსენესო. ჰგონია, რომ რახან ათამაშებდნენ, ფული თვითონ უნდა გადაეხადა. დიდ გუნდში ახალმოხვედრილმა არ იცოდა, რომ ფეხბურთის თამაშში შეიძლება ფული გადაგიხადონ.

ასეთ დროს თამაშობდა ბორის პაიჭაძე ფეხბურთს.

ასეთ დროს იყო ბორის პაიჭაძე ფეხბურთის მეფე.

მოხეტიალე ფორვარდი, ასე უწოდებდნენ მაშინ, იმ ჩაკეტილ ქვეყანაში. ერთი-ორჯერ მოხვდა საზღვარგარეთ და ჯადოქარიო, კარუზოო... რა არ დაარქვეს. არ უთამაშია მსოფლიოს დიდ გუნდებთან, ვერ მოუსწრო საბჭოთა კავშირის რეგულარულად ათამაშებულმა ნაკრებმა, მეორე მსოფლიო ომმა გაუცდინა ოთხი წელიწადი, მძიმე ტრავმამ მაშინ უწია, როცა მეგოლეებს სიბრძნის წლები უდგათ.

და მაინც, ის სამუდამოდ დარჩა მინდორზე. როცა ბორის პაიჭაძე თბილისის „დინამოდან“ წავიდა (და ეს ნიშნავდა, რომ ფეხბურთიდან წავიდა), ყველამ დაინახა, რომ მოედანზე უზარმაზარი სიცარიელეა, ადგილი, რომელსაც ძნელად დაიკავებს ვინმე. იმ ადგილას მოვა მშვენიერი ფეხბურთელი, მაგრამ სიცარიელე იქნება. ბორია წავიდა, „დინამო“ კი წლების შემდეგ გაიმართა წელში. ჰყავდა საუცხოო ფეხბურთელები, მაგრამ მინდორზე აღარ ჰყავდა ბორის პაიჭაძე და ეს დრამა იყო. ამას ყველა გრძნობდა.

აქ ბორის პაიჭაძის კვალზე არ არის ლაპარაკი. კვალის ხსენება ხმადაბალი და ჩვეულებრივი რამ იქნებოდა. მან, მგონი, პირველმა დაანახა ჩვენს ხალხს, თუ რას ნიშნავს დიდი, გენიალური ფეხბურთელი. მისი თაობის დინამოელები უმეტესად ვარსკვლავები და ჯადოქრები იყვნენ, მაშინ ასეთი ეპოქა იყო. ბორის პაიჭაძე კი საოცრება იყო ამათ შორის.

დღეს ნაკლებად წარმოუდგენიათ ამგვარი რამეები: რა უნდა ყოფილიყო ასეთიო...

ბორის პაიჭაძემ შექმნა დიდი ფეხბურთელის სტანდარტი ჩვენში. მის ნიშნულზე სწორდებოდნენ სხვა დიდი ვარსკვლავები. ასე იყო. სტანდარტი ბორიამ დააწესა — მინდვრების პირველმა დიდმა ქართულმა სიდიადემ.

დღეს ბორის პაიჭაძის დაბადების დღეა. 90 წლისა გახდებოდა.

მთელი ქართული ფეხბურთი და ბორის პაიჭაძე, თვლა ასე იწყება.

ირაკლი გამყრელიძე





ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის“ მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს“ შუახა ზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის“ საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგ ზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 10-დან 18-საათამდე (შაბათის გარდა), მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 41 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

„არსენალი“ პატრიკ ვიეირას თავურით დაწინაურდა



REUTERS ლონდონიდან

სიკვდილი ჰაიბერიზე

ინგლისი

პრემიერლიგა XXV ტური

არსენალი 2:4 მანჩესტერი

1:0 ვიეირა (8), 1:1 გიგზი (18), 2:1 ბერხკამპი (36), 2:2, 2:3 რონალდო (54, 58), 2:4 ოში (89)

არსენალი: ალმუნია, ლორენი (ფაბრეგასი 83), ს. კემპბელი (ჰოიტი 79), სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ფლამინი (რეიესი 70), ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, ფლეტჩერი (ოში 61), როი კინი, სქოულზი, კ. რონალდო (ვ. ბრაუნი 70), გიგზი (საა 77), რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: პირესი, რეიესი, ჰაინცე, გიგზი, რუნი, რონალდო

გაძევება: სილვესტრი (69)

მსაჯი: ჰოლი

38 164 მაყურებელი

ჩარლტონი 1:2 ლივერპული

1:0 ბარტლეტი (6), 1:1 მორიენტესი (61), 1:2 რიისე (79)

ჩარლტონი: კაილი, ლ. იანგი, ჯ. ფორჩუნი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტომა (კიშიშევი 59), მერფი, ჰოლანდი (ჯეფერსი 77), ბ. ჰიუზი (იუელი 66), კონჩესკი, ბარტლეტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (პოტერი 90), ბიშკანი, ჯერარდი, რიისე (უორნოკი 90), მორიენტესი (შმიცერი 88), ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მსაჯი: ბერი

27 102 მაყურებელი

ბოლტონი 3:1 ტოტენჰემი

1:0 დიუფი (49პ), 1:1 დეფო (66), 2:1 ბენ ჰაიმი (86), 3:1 დევისი (87)

ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი (ფადიგა 77), ნგოტი, ბენ ჰაიმი, რ. გარდნერი, ნოლანი, კამპო, სპიდი, დიუფი, კ. დევისი (ჰ. პედერსენი 90), იანაკოპულოსი (იერო 88)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, გ. კელი, კინგი, ე. გარდნერი, ედმანი (დეფო 63), ს. დევისი, კარიკი, მ. ბრაუნი, ატუბა, რობი კინი, კანუტი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: კინგი, კანუტი, კანუტი

გაძევება: კანუტი (68)

მსაჯი: დინი

24 780 მაყურებელი

პორტსმუთი 2:1 მიდლსბრო

0:1 კრისტი (35), 1:1 ტეილორი (40), 2:1 აიეგბენი (58)

პორტსმუთი: ხალკიასი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, მეთიუ ტეილორი, ბ. ონილი, ა. სისე, ს. ჰიუზი, ბერგერი (როდიჩი 81), ფულერი (სკოპელიტისი 73), აიეგბენი

მწვრთნელი: ველიმირ ზაიეცი

მიდლსბრო: შვარცერი, რაიციგერი, საუთგეიტი, კუპერი (მაკმაჰონი 29; გრემი 80), კედრუ, პარლოუ, ჯ. მორისონი, ზენდენი, დაუნინგი, კრისტი (ჟობი 66), ჰასელბაინკი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ტეილორი, პარლოუ, ზენდენი

მსაჯი: კროსლი

19 620 მაყურებელი

ვესტ ბრომვიჩი 2:2 კრ. პალასი

0:1 ჯონსონი (47), 1:1 კემპბელი (82), 1:2 რიიჰილატტი (90), 2:2 ერნშოუ (90)

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ალბრეხტსენი (რიჩარდსონი 72), პარსი, კლემენტი, პ. რობინსონი, გერა, შიმეკა, უოლვორკი, გრინინგი, ჯ. კემპბელი, ჰორსფილდი (ერნშოუ 55)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

კრ. პალასი: კირალი, ბოისი, ჰალი, სორონდო, ბაროუდელი, რუტლეჯი, ლიგერტვუდი, მ. ჰიუზი (ენდრიუსი 90), სუარესი, ფრიდმანი (დ. პაული 13; რიჰილატტი 86), ენდრიუ ჯონსონი

მწვრთნელი: იან დიუვი

გაფრთხილება: გერა

გაძევება: სორონდო (12)

მსაჯი: გალაჰერი

25 092 მაყურებელი

სამშაბათის, ყველაფერი გადაფარა „არსენალ“ — „მანჩესტერის“ თამაშმა „ჰაიბერიზე“, რომლის შემდეგაც სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა: „თამაშის წინ, მეც და ვენგერიც იმ აზრზე ვიყავით, რომ წაგებული საჩემპიონო ბრძოლას გამოეთიშებოდა. ჰოდა, ახლა მე ვამბობ, რომ „არსენალი“ აღარ იბრძვის ჩემპიონობისთვის. თამაშს ორჯერ ვაგებდით, საბოლოოდ კი 4:2 მოვიგეთ. ჩვენმა ხასიათმა და ფანტასტიკურმა თამაშმა ყველაფერი თქვა“.

„მანჩესტერმა“ პირველი ტაიმი წააგო „ჰაიბერიზე“ — რაიან გიგზმა ერთი შეაგდო პატრიკ ვიეირასა და დენის ბერხკამპის გოლებს შორის. მაგრამ მეორე ტაიმში კრისტიანო რონალდოს დუბლმა, რაც სტუმართა თავდასხმის ბრწყინვალე თამაშმა მოახდინა, მატჩი გარდატეხა. „არსენალს“ არც იმან უშველა, რომ მიკაელ სილვესტრმა ცხვირში თავი ჩასცხო ფრედი ლიუნგბერგს და წითლით დატოვა მოედანი.

სულ ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა ჯონ ოშიმ თავზე გადაუგდო ბურთი მეკარე მანუელ ალმუნიას და მეთოფენი საბოლოოდ დააცხრო.

ახლა „მანჩესტერი“ მეორეა, ორი ქულით უსწრებს „არსენალს“.

ფერგი ამბობს: „ჩვენ ყველა დარჩენილ თამაშს მოვიგებთ. ვნახოთ, „ჩელსი“ რას იზამს. ყველაფერი მაინც მის ხელშია“.

ვენგერმა კი მაინც თავისებური გამოურია: „ჩვენ ბევრი ვეშრომეთ ჩვენი გოლებისთვის, მათ კი ილოდად გაიტანეს ოთხივე. მე ვფიქრობ, რომ მესამე გოლმა გაგვტეხა. ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტო, მაგრამ ძალიან შორს ვართ“.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ილი თამაში. დაძაბულობა ჯერ კიდევ მატჩამდე გვირაბში შეიმჩნეოდა, სადაც „მეთოფეთა“ კაპიტანი პატრიკ ვიეირა გარი ნევილს ეძვლებიჭა. მის წინ კი რიი კინი ამოიზარდა და უთხრა, მე შელაპარაკე, რა გინდაო.

მსაჯ გრეგ პოლს გაჩრილი ჯაჭვა დასჭირდა კაპიტანთა დასაშოშმინებლად.

„როცა ვიღაცა ჩემს გუნდელს ურჩევს საქმეს, მე უნდა მელაპარაკოთ. მათ იფიქრეს, რომ გარის გაფუჭება იოლია. ეგრე არ არი...“ — თქვა კინმა

ვიეირამ კი საერთოდ უარყო გვირაბის ინციდენტი, თუმცა განაცხადა: „გარი დიდი ბიჭია და თავის თავს თვითონ მიხედავს“.

ამგვარი მომენტები თამაშის დროსაც იყო. მაგალითად, მაშინ, როცა ეშლი კოული საპენალტედ წაიქცა თამაშის დასაწყისშიეე.

ვიეირას გოლის შემდეგ ყვითლებიც აფრიალდა (უფრო „მანჩესტერის“ მხარეს), მაგრამ მერე გიგზმა გააითანაბრა და თამაში შედარებით დამშვიდდა. მერე პირესი ითხოვდა პენალტს, მერე კი რიცა მან დარეს ფლეტჩერი წაიქცა, საქმეში ვიდეოი უკან რუნი ჩაება, რომელიც მთელი ტაიმის განმავლობაში წითლის ზღვარზე ირეკებოდა და გრეგ პოლმა მხოლოდ სიტყვიერი შეგონებებით ჩააწყნარა. რუნიმ მაინც მიიღო ყვითელი ბარათი, ხელი თამაშისთვის, მაგრამ მეორე ტაიმში დაწყნარდა, რაც სერ ალექსის დამსახურება უნდა იყოს. რუნიმ ბრწყინვალე ჯარიმა დაარტყა, რომელიც ძელთა საზღვარმა აისხლიტა.

მერე კი ნერვებმა უმტყუნა მიკაელ სილვესტრს. თუმცა, მთელი ამ ამბების პარალელურად, „მანჩესტერმა“ სამი გოლი გაიტანა, თამაშის საუკეთესო კაცი კი ნამდვილად გიგზი იყო.

„არსენალი“ გაჩერდა. „ჩელსის“ ახლა „მანჩესტერი“ მისდევს.

REUTERS ლონდონიდან

არსენ ვენგერს და ალექს ფერგიუსონს ნერვიულობა მატჩის ბოლომდე გაჰყვათ



REUTERS ლონდონიდან

მანჩესტერელი მიკაელ სილვესტრი 69-ე წუთზე გააძევეს

ირაკლი გამყრელიძე

ჩელსი	24	19	4	1	48:8	61
მანჩესტერი	25	15	8	2	41:16	53
არსენალი	25	15	6	4	55:29	51
ევერტონი	24	13	5	6	28:25	44
ლივერპული	25	12	4	9	38:26	40
მიდლსბრო	25	10	7	8	40:35	37
ჩარლტონი	25	11	4	10	29:35	37
ბოლტონი	25	10	6	9	34:32	36
ტოტენჰემი	25	9	6	10	30:29	33
სიტი	24	8	7	9	30:26	31
ასტონ ვილა	24	8	7	9	27:29	31
პორტსმუთი	25	8	6	11	28:35	30
ნიუკასლი	24	7	8	9	35:41	29
ფულემი	24	8	4	12	31:40	28
ბირმინგემი	24	6	8	10	27:30	26
ბლეკბერნი	24	5	10	9	21:34	25
კრ. პალასი	25	5	7	13	29:39	22
საუთჰემპტონი	24	3	9	12	25:39	18
ნორვიჩი	24	2	11	11	23:46	17
ვესტ ბრომვიჩი	25	2	11	12	21:46	17

ბომბარდირები

ანრი (არსენალი)	16
ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი)	15
დეფო (ტოტენჰემი)	11
პირესი (არსენალი)	10
ჰასელბაინკი (მიდლსბრო)	10

ერიკსონი ოთხზე დადგა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია პრინციპში, თანახმაა ნაკრების შვედ მწვრთნელს, სვენ-გორან ერიკსონს მხარი დაუჭიროს და გაიზიაროს მისი მოსაზრება, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ოთხკვირიანი დასვენება გამოაცხადოს. ეს მწვრთნელის პრინციპული მოთხოვნაა



სვენ-გორან ერიკსონმა ოთხკვირიანი შუალედი მოითხოვა

„ბულწრფელად მეიმედება, რომ ამ ქვეყანაში საფეხბურთო მოხელეები ჩვენს სურვილს გაითვალისწინებენ და პრემიერლიგის დასრულებიდან მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხ კვირას გამოგვიძებნიან — ამბობდა ერიკსონი რამდენიმე დღის წინ — ეს სწორედ ის გახლავთ, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება. სწორედ დაღლის გამო იყო იაპონიასა და პორტუგალიაში მეოთხედფინალს რომ ვერ გავცდით".

ამ წინადადებას ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია საგანგებო ჯგუფის შექმნით გამოეხმაურა. ეს, ეგრეთწოდებული სამუშაო ჯგუფი კი დაფიქრდება თუ როგორ შეიძლება მომავალი სეზონის კალენდრის გადაკეთება.

ამჟამინდელი გეგმის თანახმად, მომავალი სეზონი ინგლისში 13 მაისს უნდა დასრულდეს — ეს ის თარიღი გახლავთ, რომელსაც ფიფა 2006 წლის მუნდიალის წინ ყველა ქვეყნისგან ითხოვს და ვინაიდან მსოფლიოს პირველობა 9 ივნისს იწყება, პაუზა სწორედ, რომ ოთხკვირიანი გამოდის.

ერთი სიტყვით, აქ პრობლემა არ არსებობს, მაგრამ ვინაიდან 2006 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი 17 მაისს უნდა ჩატარდეს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, ფიფას ნებართვით, 20 მაისს ახალი „უემბლის" გახსნასა და თავისი თასის ფინალს მაშინ ჩატარებას ფიქრობდა. აი, ეს კი ძალიან არ აძლევს ხელს სვენ-გორან ერიკსონს. ამის მიზეზი ნათელია — თასის ფინალში სავარაუდოდ, ქვეყნის ორი წამყვანი გუნდი იქნება გასული და, ბუნებრივია, მათ შემადგენლობაში ნაკრების მოთამაშენიც იქნებიან.

ახლა, როდესაც ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ ერიკსონის წინადადებას გათვალისწინება სჭირდება, მუშა ჯგუფი უკვე კონკრეტულ საკითხებზეც იწყებს ფიქრს. ამოცანა ასეთია: თასის ფინალი რამენაირად ჩემპიონატის დამთავრებამდე უნდა ჩატარდეს. საკითხი სავარაუდოდ, თებერვლის დასაწყისში ანუ უახლოეს ხანს გაირკვევა ან განიხილება მაინც.

შეგახსენებთ, რომ სვენ-გორან ერიკსონმა ინგლისელებს ჩემპიონატში ზამთრის არდადეგების შემოღებაც ურჩია.

პაპუნა კედია

საუკეთესო ბოლო 40 წელიწადში



რაფაელ ბენიტესმა ფერნანდო მორიენტესი შეაქო

„ლივერპულის" მწვრთნელი, რაფაელ ბენიტესი პრემიერლიგის ბოლო ტურში „ჩარლტონ ატლეტიკთან" გამარჯვების მერე იმ ადამიანებს შეეპასუხა, ვინც ამას წინათ „წითლების" „ბარნლისთან" სათასო დამარცხებას გაშმაგებული კრიტიკა დააყარა.

„ზუსტად ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ შეიძლება დღეს რომ ვითამაშეთ, ისე „ლივერპულს" ბოლო 40 წელიწადი არც უთამაშია, — განაცხადა ესპანელმა სპეციალისტმა — ჩვენ დიდებულად ვმოქმედებდით. ნათლად გამოჩნდა ჩემი ფეხბურთელების ძლიერი მენტალიტეტი, გუნდური სულისკვეთება და ოსტატობა".

მოგეხსენებათ, **ამ** შეხვედრაში გოლი „ლივერპულში" მადრიდის „რეალიდან" ახალგადასულმა ფერნანდო მორიენტესმა გაიტანა.

„ეს გოლი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო — დასძინა ბენიტესმა — ფერნანდო მშვენივრად თამაშობდა, მაგრამ ვინაიდან მის გარშემო კიდევ ათი ფეხბურთელი ირჯებოდა დიდებულად, საქმე მნიშვნელოვანწილად გაუიოლდა".

შეგახსენებთ, რომ მორიენტესი ლივერპულელებმა 6,3 მილიონ გირვანქად შეიძინეს. „ჩარლტონთან" მატჩი ესპანელისთვის მეოთხე იყო.

„ჩვენ შეთანხმებულნი ვიყავით, რომ მას ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის უნდა ერბინა, ბურთის მოსაპოვებლად ებრძოლა და მაღალი ბურთები ერტყა. მან სამივე ასპექტი ჩინებულად შეასრულა, მაგრამ გარდა ამისა, როდესაც უმაღლესი კლასის ბომბარდირი ხარ, გოლები უნდა გაიტანო, და ფერნანდომ ესეც გააკეთა — დააგვირგვინა მწვრთნელმა.

პაპუნა კედია



ბრაზილიელი ნახევარმცველი ელანო დონეცკის „შახტარში" გადაბარგდა. 23 წლის ფეხბურთელმა თავის ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, შეთანხმების სხვა დეტალები კი არ ხმაურდება. თუმცა, ბრაზილიური პრესის ცნობით, „სანტოსმა" ელანოს სანაცვლოდ 7-10 მილიონი დოლარი მიიღო. „თავიდან ვფიქრობდი, რომ ჩემთვის თითქმის უცნობ ადგილას ვაპირებდი გადასვლას. თუმცა კლუბის უფროსობამ ყველანაირი პირობა შემიქმნა" — თქვა ელანომ.

ინგლისურმა **„ტოტენჰემმა"** კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩაიგდო ხელში. მომავალ ზაფხულს ლონდონელებს „დერბის" 18 წლის ნახევარმცველი ტომ ჰადელსტონი შეუერთდება. „მამლები" მასში 2,5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. „შეთანხმებით ძალიან კმაყოფილები ვართ. იგი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეა თავისი ასაკის ფეხბურთელებს შორის და დიდი მომავალიც აქვს" — განაცხადა „ტოტენჰემის" სპორტულმა დირექტორმა ფრანკ არნესენმა.

ესპანური „ატლეტიკოს" მთავარ მწვრთნელ სეზარ ფერანდოს „სევილიას" ფორვარდ ჟულიო ბაპტისტასკენ მიუპყრია მზერა. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და, როგორც ამბობენ, მომავალ ზაფხულს ტრანსფერიც შედგება. „ბაპტისტათი მართლაც დაინტერესებულნი ვართ. იგი ჩინებული ფეხბურთელია და მისი შეძენა ძალიან გვსურს. თუმც ეს სამომავლო გეგმებია" — განაცხადა მადრიდელთა თავკაცმა.

იტალიური **„რომას"** მცველი კრისტიან კივუ მინდორს დაახლოებით ოთხ კვირაში დაუბრუნდება. ეს რუმინელის ბოლო სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა. შეგახსენებთ, რომ იგი დღემდე მოტეხილ ფეხს მკურნალობს. დედაქალაქელთა ექიმების თქმით, რამდენიმე დღეში კივუ სპეციალური პროგრამით ვარჯიშს განაახლებს, ხოლო თამაშს მარტში შეძლებს.

ინგლისური „ჩელსის" თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ 17 წლის ნიგერიელი ნახევარმცველი ჯონ ობი მიკელი ამოიღო მიზანში. იგი „ჩელსის" სკაუტებმა ნორვეგიულ „ლინში" აღმოაჩინეს. „ჯონი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და უკვე მაღალ დონეზე თამაშობს. იგი უაღრესად პერსპექტიულია. მომავალი ზაფხულიდან მიკელი „ჩელსის" სარეზერვო გუნდში იქნება" — აღნიშნა პორტუგალიელმა სპეციალისტმა. „ლინის" ხელმძღვანელობის თქმით, მათ აქამდე ინგლისელებისგან არანაირი წინადადება არ მიულიათ ამ ფეხბურთელის თაობაზე.

ესპანური **„სევილიას"** უფროსობამ გუნდში სასწრაფოდ დააბრუნა „ვალიადოლიდში" განათხოვრებული მცველი ოსკარ როდრიგესი. სევილიელებს დაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ბოლო პერიოდში კლუბის ერთბაშად სამი ფეხბურთელი დაშავდა, რადგან ხავი ნავაროს, სერხიო რამოსისა და პაბლო რუისის ტრავმები საკმაოდ სერიოზულია. გუნდის თავკაც ხოაკინ კაპაროსს 24 წლის როდრიგესის ეიმედება: „ოსკარს შანსი აქვს, თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს და მძიმე პერიოდში გუნდს დაეხმაროს".

არგენტინის ნაკრებისა და „რივერ პლეიტის" ახალგაზრდა ვარსკვლავი ხავიერ მასკერანო კვლავ ევროპული გრანდების ყურადღების ცენტრშია. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მომავალ ზაფხულს იგი „რივერს" დატოვებს და ბებერი კონტინენტის ერთ-ერთ ბობოლა კლუბს შეუერთდება. კომენტარი თავად ფეხბურთელმაც გააკეთა: „ვიცი, რომ ჩემით ბევრი კლუბია დაინტერესებული. მათ შორის, „ინტერი" და „იუვენტუსი". ტურინელთა რიგებში ჩემი ერთ-ერთი კერპი, ემერსონი თამაშობს და მასთან ერთად მოედანზე უდიდესი სიამოვნებით გავიდოდი. თუმც ახლა მხოლოდ „რივერ პლეიტზე" ვფიქრობ, დანარჩენი აგენტების საქმეა.

ბოლივიის ეროვნულ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე გუნდს ოვიდიო მესა უხელმძღვანელებს. მან რამირო ბლაკუტი შეცვალა. აღსანიშნავია, რომ მესა უკვე ბოლივიელთა მესამე მწვრთნელია ბოლო ნახევარი წლის მანძილზე.

ესპანური „ვალენსიას" მცველ რობერტო აიალას „ბილბაოსთან" მიღებული ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა. გალისიელთა ექიმები საბოლოო დიაგნოზს დეტალური გამოკვლევის შემდეგ დასვამენ. თუმც წინასწარი ვარაუდით, არგენტინელს დაახლოებით სამი კვირა მოუწევს დასვენება. შეგახსენებთ, რომ აიალამ მუხლის ტრავმის გამო ისედაც თითქმის მთელი მიმდინარე სეზონი გამოტოვა და მინდორს მხოლოდ იანვარში დაუბრუნდა.

შოტლანდიურმა „სელტიკმა" თავის 29 წლის მცველ ბობო ბალდესთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. შავკანიანი ფეხბურთელი კლუბის გამოცვლაზე ფიქრობდა, მაგრამ საბოლოოდ გლაზგოში დარჩენა ამჯობინა. ახალი შეთანხმების თანახმად, ბალდე „სელტიკ პარკზე" კიდევ ოთხნახევარ წელიწადს გაატარებს. ახალი კონტრაქტით „სელტიკის" მთავარი მწვრთნელი მარტინ ონილიც ძალიან კმაყოფილია.

ინგლისური „ჩელსის" ახალგაზრდა გერმანელ მცველ რობერტ ჰუთს დაახლოებით 6-8 კვირით მოუწევს უქმობა. იგი „ბლეკბერნთან" მატჩში დაშავდა. „რობერტს არ გაუმართლა, მას მეტოქე ფეხზე დაეცა და უნებლიედ ტრავმა მიაყენა. საბედნიეროდ, ოპერაციას მაინც გადაურჩა" — თქვა ლონდონელთა ერთ-ერთმა ექიმმა მაიკ ბენქსმა.

ესპანურმა **„ალბასეტემ"** 22 წლის ფორვარდი ჰორაციო პერალტა ინათხოვრა. ახალგაზრდა ურუგვაელი მილანის „ინტერს" ეკუთვნის. მან სეზონის პირველი ნაწილი „კალიარიში" გაატარა, მაგრამ სარდინიაზე ფეხი ვერ მოიკიდა. პერალტამ „კალიარიში" მხოლოდ ერთი მატჩი გამართა და საბოლოოდ აპენინების დატოვება გადაწყვიტა. „ალბასეტეს" უფროსობას კი იმედი აქვს, რომ სამხრეთამერიკელი გუნდის თავდასხმას გააძლიერებს და კლუბს პრიმერადივიზიონში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდება.

პორტუგალია

თასის მფლობელობისთვის ბრძოლა

ბენფიკა — ბეირა მარი | **სეტუბალი — ბრაგა**
ამადორა — ბელენენსეში | **მარიტიმუ — ბოავიშტა**

მატჩები გაიმართება 2 მარტს

კორსიკაზე მეტ-ნაკლებიც თანაბარია

ლიონელმა ლამინ დიატამ მეურვე სისწრაფეში დაჯაბნა

საფრანგეთი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბასტია 1:1 ლიონი
0:1 ესიენი (18), 1:1 ჩიმბონდა (49)

ჩემპიონმა „ლიონმა“ მდევართან სხვაობის გაზრდის შანსი კორსიკაზე გუშინწინ გაანიავა და ახლა „ლილს“ ხუთი ქულით უსწრებს. „ბასტია“ — „ლიონის“ მატჩი გასულ უქმეებზე უნდა შემდგარიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო გადაიდო და გუშინწინ გაიმართა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: ჟუნინიომ საჯარიმო დარტყმა შესრულა, მიკაელ ესიენმა კი ბურთს თავი უთავაზა და ნიკოლა პენეტოს ასე გაუტანა. ჩემპიონს შესვენებამდე კიდევ ორი კარგი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ სიდნეი გოვუმ და იმავ ესიენმა ვერ იხეირეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელმა სედრიკ ურამ მეტოქე ფორვარდი პიერ-ალან ფრო უხეშად წააქცია და მსაჯმა გააძევა. საკვირველია, რომ კაცნაკლულმა „ბასტიამ“ გათანაბრება ძალიან მალე მოახერხა. ჯიბრილ სიდიბეს გასროლილი ბურთი გრეგორი კუპემ მოიგერია, გადმოვარდნილს კი პასკალ ჩიმბონდამ მიუსწრო და — 1:1.

დარჩენილ დროში კაცმეტმა „ლიონმა“ ამაოდ უტრიალა კუნძულელთა კარს, მაგრამ ნიკოლა პენეტო საუცხოოდ თამაშობდა და კარის ხაზიდან ბურთიები არაერთხელ გამოაძრო.

ვაჟა ხუციშვილი

ლიონი	24	13	10	1	31:11	49
ლილი	24	12	8	4	30:16	44
მონაკო	23	11	9	3	34:20	42
ოსერი	24	12	5	7	34:24	41
მარსელი	24	12	5	7	30:22	41
ტულუზი	24	9	8	7	26:22	35
სოშო	24	9	7	8	30:23	34
რენი	24	9	5	10	24:27	32
ბორდო	24	6	13	5	26:22	31
სენტ ეტიენი	23	6	12	5	27:20	30
პსჟ	24	6	12	6	25:26	30
მეცი	24	7	8	9	21:30	29
ლანსი	24	6	10	8	23:25	28
ნიცა	24	6	10	8	28:33	28
ნანტი	24	6	8	10	20:24	26
კაენი	24	5	9	10	18:37	24
აიაჩო	23	4	10	9	18:26	22
ბასტია	24	5	7	12	18:31	22
სტრასბური	23	4	9	10	21:31	21
ისტრი	24	2	11	11	14:28	17

რონალდინიო შესაძლოა, სასამართლოში დაიბარონ

პარიზში ფულს ეძებენ
რონალდინიო მოწმეა

პარიზის საგადასახადო სამსახურმა „პარი სენ ჟერმენის“ სატრანსფერო საქმეები საეჭვოდ მიიჩნია და გამოძიებას აწარმოებს, ერთ-ერთ მოწმედ კი ეგებ ბრაზილიელი რონალდინიოც გამოიძახონ.

ეს საქმე იმიტომ გაიხსნა, რომ „ლე ფიგაროში“ და „ლე პარიზიენში“ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში გამოძიებისთვის საგულისხმო ფაქტები გამოქვეყნდა

დედაქალაქური კლუბის თავკაცები ეჭვმიტანილნი არიან გადასახადების დამალვაში. 1998-2002 წლებში განხორციელებული ტრანსფერებიდან ბლომად ფული დაიკარგაო. ამ პერიოდში პსჟ-ს მიერ გაყიდულ-შეძენილი ფეხბურთელების ნუსხაში დაახლოებით 50 გვარსახელია და სამართალდამცავებს ბევრი თავსატეხის ამოხსნა მოუწევთ.

უპირველეს ყოვლისა, საგადასახადოს 2003 წლის პსჟ — „ბარსელონას“ გარიგება აინტერესებს. მაშინ რონალდინიო კატალონიურ კლუბში 27 მილიონ 500 ათასი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. ერთ-ერთ ფინანსურ საბუთში კი აღნიშნულია, თითქოს კლუბმა ბრაზილიელის სანაცვლოდ 2 მილიონი ევრო მიიღო.

გამოძიებამ საინტერესო ამბავი გამოიწვია. ცნობილია, რომ პარიზელებმა რონალდინიო 2001 წელს „გრემიოდან“ დაახლოებით 6 მილიონ დოლარად შეიძინეს შემდეგ ჰოლანდიურმა ტელეკომპანია SPORT+BV-მ, რომელიც ფრანგული „კანალ პლუსის“ ფილიალია („კანალ პლუსი“ პსჟ-ს მთავარი სპონსორიაა), 13 მილიონ 200 ათასი დოლარი გადიხადა, რაცა რონალდინიო თავის სარეკლამო სახედ უქცია.

პსჟ-ს მაშინდელი პატრონი აცხადებს, რომ ბრაზილიელს „პარსელონაში“ გაღასვლისას კატალონიელებისგან მილიონერი თანხის დიდი ნაწილი ჰოლანდიურ ტელეკომპანიის ფეხბურთელთან სარეკლამო კონტრაქტის გაწყვეტის საკომპენსაციოდ ჩაუთვალა და პსჟ-საც ასე ცოტა (2 მილიონი ევრო) ფული ამიტომ დარჩა.

ეჭვმიტანილია შორის არიან. შარლ ბეტრი — პსჟ-ს პრეზიდენტი 1998 წლის ივნისიდან იანვარამდე და მისი შემცვლელი ლორან პერპერი, რომელიც 2003-ის ივნისში გაათავისუფლეს. ამჟამინდელი პრეზიდენტი ფრანსის ვრაა კი სუფთაა და მან ჩვენება უკვე მისცა.

ვაჟა ხუციშვილი

თასიდან სიმწვანე გაქრა

საფრანგეთი
ლიგის თასი
ნახევარფინალი

სტრასბური 1:0 სენტ ეტიენი
1:0 ა. ფარნერუდი (55)

„სტრასბური“, რომელიც მეორე დივიზიონში გადასახლების კანდიდატია, „სენტ ეტიენის“ ძლევით ლიგის თასის ფინალში გავიდა.

მასპინძლებს პირველივე ტაიმში შეეძლოთ ანგარიშის გახსნა — მიკაელ პაგის და მამადუ ნიანგს ჟერემი ჟენომ არ გაატანინა, მაგრამ სტრასბურელთა მასირებულმა შეტევებმა მეტოქე მეორე ტაიმში მაინც გატეხა: შვედმა ალექსანდერ ფარნერუდმა საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი დარტყმით ბურთი მეკარისგან მარცხენა შორეულ კუთხეში ჩასვა. აღსანიშნავია, რომ ფარნერუდმა აქამდე გამართულ სამ სათასო მატჩში გაიტანა და გოლსერიას აგრძელებს.

„სენტ ეტიენი“ მკრთალი იყო და არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც მეოთხედფინალში „ლანსს“ 3:0 მოუგო. „მწვანეებს“, ჩემპიონატსა თუ თასზე, 30 ოქტომბრის შემდეგ არ წაეგოთ და მათი ძლევამოსილი სვლა სტრასბურში დასრულდა.

„ვიმედოვნებ, რომ ეს გამარჯვება ფსიქოლოგიურად მოგვაძლიერებს და ჩემპიონატშიც აღმასვლას დავიწყებთ“ — განაცხადა ნამატჩევს „სტრასბურის“ მწვრთნელმა.

ვაჟა ხუციშვილი



სტრასბურელი ულრიხ ლე პენი
თანაგუნდელმა სიხარულისგან ხელში აიტაცა

რივალდო გაბრაზებულა

ბრაზილიელმა რივალდომ თქვა, ეგებ სეზონის ბოლოს „ოლიმპიაკოსიდან“ წავიდეო: „ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სამომავლო გეგმებზე დავფიქრდები, მანამდე კი ამ გუნდში ერთი ჯილდოს მოგება მაინც მსურს“.

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ბერძნულ კლუბთან შარშან ივლისში გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი, მაგრამ სალონიკის „არისთან“ გასული ტურის მატჩში პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს და მწვრთნელ დუშან ბაევიჩზე გაბრაზდა. იგი სათადარიგოთა სკამზე არ დაჯდა, სტადიონი დატოვა და ორშაბათის ვარჯიშსაც არ დაესწრო.

პირეოსული კლუბის ოფიციალური განცხადებების თანახმად, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა არ გაფუჭებულა, რივალდო ოჯახური პრობლემების გამო დროებით ჩვენ გავათავისუფლეთო.

ვაჟა ხუციშვილი

რივალდოს (მარჯვნივ) „ოლიმპიაკოსიდან“ წასვლა სურს

ხულიგანი გენიოსი
ლიპი შანსს ყველას მისცემს

ანტონიო კასანოს იტალიის ნაკრების ლიდერობას უწინასწარმეტყველებენ

„სკუადრა აძურას“ თავკაცმა მარჩელო ლიპიმ გუშინ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

როგორც ირკვევა, გამოცდილი სპეციალისტის გუნდში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა რომაელი ანტონიო კასანო იქნება. ლიპიმ ახალგაზრდა იავდამსხმელისადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა, მან 22 წლის ფეხბურთელს გენიოსიც კი უწოდა. გარდა ამისა, მაესტრომ ვეტერანებიც არ დაივიწყა და განსაკუთრებით კრისტიან ვიერი გაამხნევა.

მარჩელო ლიპი: „მე ძალიან დიდი არჩევანი მაქვს. უამრავი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს და, ცხადია, ყველას სურს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა. მინდა ვოქვა, რომ უშანსოდ არავინ დარჩება. თითოეულ მათგანს მივცემ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას.

რაც შეეხება კასანოს, აქამდე ჯერ მხოლოდ იმიტომ არ გამომიძახებია, რომ სანაკრებო თამაშების დროს მუდამ ტრავმირებული იყო, ან სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ვფიქრობ, ანტონიომ უკვე გადალახა სირთულეები და ახლა მხოლოდ თამაშზეა კონცენტრირებული“.

ამის შემდეგ, ჟურანლისტები ლიპის ჩაეკითხნენ, თამაშის აწყობას ვისზე აპირებთ, ნაკრების ლიდერად ვინ გესახებათო. სავარაუდო კანდიდატი სამია — ალესანდრო დელ პიერო, ფრანჩესკო ტოტი და ანტონიო კასანო, იტალიელთა დამრიგებელს კონკრეტული პასუხი არ გაუცია, მაგრამ გამოჩნდა, რომ მისი სიმპათიები „რომას“ ფორვარდისკენ იხრება.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებას მარტო კარგად შეკრული და მობილიზებული გუნდით ვერ მიაღწევ. ამისთვის საჭიროა ერთი გენიოსი მაინც გყავდეს, რომელსაც პატარა საოცრებების ჩადენა შეეძლება. ასეთად კი სწორედ კასანო მესახება. ადრე რობერტო ბაჯო, ალექს დელ პიერო და სხვები გვყავდა. ბრაზილიას რონალდინიო და კაკა ჰყავს, არგენტინას კი კარლოს ტევესი და სხვები. ანტონიომ თავისი შესაძლებლობები შესარჩევ მატჩებშიც უნდა გამოავლინოს. იგი ძალიან ნიჭიერია და 2006 წლის მუნდიალზე გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეუძლია, თუმცა ამისთვის სერიოზული მუშაობაა საჭირო“ — დასძინა ბოლოს ლიპიმ.

გიორგი კაკაბაძე



ბერტ ვან მარვიიკმა „ბორუსიას“ ცუდი თამაში ფინანსებს დააბრალა

ზარალი და ხალხმრავლობა
ვან მარვიიკმა არსად წამსვლელი არ ვარო

დორტმუნდის „ბორუსიას“ ჰოლანდიელი მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი გუნდის ცუდ თამაშს ფინანსური პრობლემებით ხსნის.

„თუ უფულობა გჭირს, ცუდ თამაშს უბრალდ ვერსად გაექცევი — განუცხადა ვან მარვიიკმა „შპიგელს“, შემდეგ კი, ადრე „ფეიენოორდში“ მომუშავე ჰოლანდიელმა დასძინა, რომ 18 გუნდიან ბუნდესლიგაში მე-13 ადგილზე ყოფნის მიუხედავად, თანამდებობის დატოვებას არ აპირებს:

„თუ ჩემს შესახებ კარგად გსმენიათ, გეცოდინებათ, რომ ყოველთვის ბოლომდე მიმყავს კონტრაქტის ვადა“.

ამასობაში კი დორტმუნდელებმა ადმინისტრაციიდან რამდენიმე ადამიანი შეამცირეს. თურმე, ზარალში მყოფთა შორის პირველობის გარდა, კლუბს 2004 წელს თანამშრომელთა სიმრავლეშიც უჩვენებია საუკეთესო შედეგი.

ბაბუნა კვიდია

ვიალიმ დელ პიერო გაყიდა

ალექს დელ პიეროს გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა არც იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ყოფილმა ვარსკვლავმა, ჯანლუკა ვიალიმ დატოვა უყურადღებოდ. მისი აზრით, 30 ნლის ფეხბურთელი „დელე ალპიდან“ უნდა წავიდეს, თუმცა ტურინელთა ხელმძღვანელობა კატეგორიულად კი გაიძახის, დელ პიერო გუნდში რჩებაო



ჯანლუკა ვიალის სიტყვას დიდი ფასი აქვს

„ვფიქრობ, სეზონის ბოლოს დელ პიერო „იუვეს“ დატოვებს. მესმის, რომ იგი უკმაყოფილოა, მაგრამ ჯერ ჩვეული ფორმა უნდა აღიდგინოს. მთელი შემართებით ივარჯიშოს და ხელახლა დაამტკიცოს, რომ დიდი ფეხბურთელია. ალექსს შეუძლია კარიერა ინგლისში ან ესპანეთში განაგრძოს და სხვა ქვეყანაში თამაშითაც მიიღოს სიამოვნება. თანაც მისი მსურველი დარწმუნებული ვარ ბევრია“ — განაცხადა ვიალიმ.

ინგლისურ და ესპანურ კლუბებში, სავარაუდოდ, „ჩელსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „რეალი“ იგულისხმებოდნენ. დელ პიეროს აგენტმა ზემოხსენებული გუნდები უკვე არაერთხელ დაასახელა თავის კლიენტის მსურველებად.

ლუკა ვიალის კომენტარი კაპელოსა და დელ პიეროს კონფლიქტზეც სთხოვეს: „როგორც ვიცი, არანაირი უთანხმოება და განხეთქილება მათ არ აქვთ, არ ღირს ვითარების გამუქება. კაპელოს ვერაფერში დავადანაშაულებ. რა უნდა მოსთხოვო მწვრთნელს, რომლის გუნდიც ჩემპიონატს რვაქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს და თანაც სტაბილურად თამაშობს. მას ახლა არც 4-4-2 სისტემის შეცვლა შეუძლია, ხოლო ალექსს მრავალი ფუნქციის შესრულება ძალუძს, მაგრამ მხოლოდ თავდასხმაში. იქ კი ფაქტია, დღეს დავიდ ტრეზეგე და ზლატან იბრაჰიმოვიჩი დელ პიეროზე უკეთეს ფორმაში არიან“.

გიორგი კაკაბაძე



ალბერტ სელადესმა „სამეფო კლუბის“ დატოვება გადაწყვიტა

ძველი ბარსელონელი რეალს ეყრება

გუშინ ვწერდით, რომ მადრიდის „რეალმა“ თავის სათადარიგო მეკარე სესარს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. დღეს კი საპირისპირო რამ უნდა ვთქვათ, რაკი საინფორმაციო საგენტოებმა ცნობა გაავრცელეს, სესარი სეზონის დასრულების მერე „სამეფო კლუბს“ დატოვებსო. ამავე ცნობით, სესართან ერთად „რეალიდან“ წამსვლელად ალბერტ სელადესიც არის მოხსენიებული.

კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „სესართან და სელადესთან კონტრაქტის გაგრძელებაზე შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ახლა ისინი სხვა კლუბებისგან ელოდებიან შეთავაზებებს“.

სესარს და სელადესს კონტრაქტის ვადა 30 ივნისს ეწურებათ.

სელადესი ძველი ბარსელონელია, მერე ერთი სეზონი ვიგოს „სელტაში“ გაატარა, რეალში კი 2000 წელს გადავიდა. წინა სეზონში მადრიდელებმა „ბორდოში“ გაანათხოვრეს. ალბერტ სელადესი 29 წლისაა და ანდორაშია დაბადებული.

ამ სეზონში სელადესმა ნახევარდაცვაში ბექემის გვერდით დაიწყო თამაში, მაგრამ მალევე ხოსე მარია გუტიმ ამოაგდო შემადგენლობიდან.

33 წლის სესარი კი „რეალში“ ხუთი სეზონის წინ მივიდა, მაგრამ პირველ მეკარედ მხოლოდ 2001-02 წლების სეზონში იყო და იმ სეზონშიც მცირე ხნით. ჩვეულებრივ მას კარის დაცვას მხოლოდ სათასო მატჩებში ანდობენ.

კოტე კეკელია



რეი კლემენსი საოპერაციოა

კლემენსი დანის ქვეშ

ლეგენდარულ მეკარეს კიბო აღმოაჩნდა

ინგლისის ნაკრების მეკარეთა მწვრთნელ რეი კლემენსს პროსტატის კიბო აღმოაჩნდა.

„ლივერპულისა“ და „ტოტენჰემის“ ყოფილი ლეგენდარული მეკარე საოპერაციოა და ამიტომ სანაკრებო ვარჯიშს ვერ გაუძღვება. ინგლისელები 9 თებერვალს ჰოლანდიასთან ამხანაგურად ითამაშებენ.

56 წლის კლემენსმა თქვა: „აქამდე დასმული დიაგნოზი კარგი და დამაიმედებელი იყო. ახლა ისღა დამრჩენია, რომ საოპერაციოდ გავემზადო, მერე კი დროულად გამოვკეთდე და სამუშაოს დავუბრუნდე“.

ფეხბურთელობისას რეი კლემენსმა ეროვნულ გუნდში 61-ჯერ ითამაშა. საკლუბო დონეზე „ლივერპულის“ მაისურით სამჯერ ევროპის ჩემპიონთა, ორჯერ უეფას, თითოჯერ ასოციაციასა და ლიგის თასები მოიგო, ხუთჯერ კი ინგლისის ჩემპიონი გახდა. 1978 წელს თბილისში, „დინამომ“ „ლივერპულს“ 3:0 რომ მოუგო, კარში სწორედ რეი კლემენსი იდგა.

1981-ში იგი „ტოტენჰემში“ გადავიდა და ამ კლუბთან ერთად ასოციაციის თასს დაეუფლა. 1987-ში ტრავმის გამო კარიერა დაასრულა და ლონდონურ კლუბში დარჩა.

1996-ში გლენ ჰოდლმა ნაკრებში იახლა და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მეკარეთა მწვრთნელად მუშაობს.

ახლა კლემენსს მის არყოფნაში დროებით 21-წლამდელთა ნაკრების მეკარეთა დამრიგებელი შეცვლის.

სვენ-გორან ერიკსონმა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ავადმყოფს მალე გამოჯანმრთელება უსურვა, მისი ცოდნა-გამოცდილება და ენთუზიაზმი მეტად მნიშვნელოვანია.

აქვე გავიხსენოთ, რომ მსგავსი პრობლემის გამო ერიკსონის სამწვრთნელო შტაბს ევრო 2004-ის დაწყებამდე ბრაიან კიდი გამოკლდა.

ვაჟა ხუციშვილი

შენი ფიორენტინა ბირმინგემია

ირუერტამ პანდიანის ქალაქი შეუცვალა



ვალტერ პანდიანი

ურუგვაელი ვალტერ პანდიანი გალისიურმა „დეპორტივომ“ დროებით „ბირმინგემს რომ დაუთმო, გუშინაც გაცნობეთ.

საინტერესო კი ისაა, რომ ფორვარდი ბედს უჩივის, ინგლისში რაღა მინდოდაო.

მისი დებიუტი შესაძლოა, გუშინ „საუთჰემპტონთან“ მატჩში შემდგარიყო, ინგლისში ახალჩასულმა პანდიანმა კი თქვა: „დეპორტივო“ ძალიან ნაწყენმა დავტოვე და იქ ალბათ, არასდროს დავბრუნდები. მე „ფიორენტინაში“ გადასვლა მსურდა, მაგრამ კლუბმა „ბირმინგემში“ გამაგზავნა, აქაურობა კი გულზე არ მეხატება. ხავიერ ირურეტამ ძირითად შემადგენლობას მომაცილა გუნდის გამოცვლა ამიტომაც მინდოდა, ოღონდ პრემიერლიგაში თამაშს ნაღდად არ ვაპირებადი“.

ვაჟა ხუციშვილი

პატარა, მაგრამ ლამაზი

მანდელას, ვალენსას და კოლის ძმაკაცი მიოლერი მსახიობობისთვის დაჯარიმეს

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ფრანც ბეკენბაუერს ანდრეას მიოლერზე უთქვამს, პატარაა, მაგრამ თასივით ლამაზიაო. თავად უარყოფს, „კაიზერ ფრანცისგან“ მსგავსი არასოდეს გამიგიაო. სამაგიეროდ, აღიარებს, რომ მეტოქის საჯარიმოში მცველის დაუხმარებლად არაერთხელ წაქცეულა პენალტის მოლოდინში



— გაზეთებში წერენ, რომ სწავლობთ...

— დიახ, კიოლნის მწვრთნელთა სკოლაში. ექვსი თვის შემდეგ ლიცენზიას ავიღებთ, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობის უფლებას მომცემს.

— უდიდესი გამოცდილების პატრონს კიდევ სწავლა გჭირდებათ?

— რა თქმა უნდა. ახალი საწვრთნელი მეთოდების ათვისება, აგრეთვე ფსიქოლოგიის სფეროში განათლებაც არ მაწყენს. ლიცენზიის აღება ძალიან მინდა, თუმც ბეკენბაუერი, ფიოლერი და მათეუსი ულიცენზიო მწვრთნელები არიან.

— ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არაერთ მწვრთნელთან გიმუშავიათ. ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრათ თავი?

— „იუვენტუსში“ ჯოვანი ტრაპატონის ხელქვეით ვთამაშობდი, უდიდესი პიროვნებაა, ფეხბურთის ყველა წვრილმანი ზედმიწევნით იცის. მერე დორტმუნდის „ბორუსიაში“ ოტმარ ჰიცფელდი გავიცანი. დიდი სტრატეგი და პატივმოყვარე კაცია. გადაწყვეტილების მიღებისას თანმიმდევრულია. ჰიცფელდის შემდეგ ნევიო სკალა მოვიდა „ბორუსიაში“. სკალა ტაქტიკასა და სქემებში გადასარევად ერკვევა. ფრანკფურტის „აინტრახტში“ დრაგოსლავ სტეპანოვიჩი იყო, რომელიც ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვის ოსტატია. რაც შეეხება ნაკრებს, ფრანც ბეკენბაუერის მწვრთნელობისას მიმიწვიეს. მას ღმერთისგან ბოძებული ნიჭი აქვს.

— წლეულს ჩემპიონთა ლიგას რომელი გუნდი მოიგებს?

— ალბათ „ჩელსი“, მაგრამ ფავორიტებიდან „მილანს“, „იუვენტუსსა“ და „ბაიერნსაც“ ვერ გამოვრიცხავ.

— მიუნხენელები თქვენი გერმანელობის გამო დაასახელეთ?

— არავითარ შემთხვევაში. „ბაიერნი“ ის გუნდია, რომელსაც პოტენციურად ყოველ სეზონში შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება. „ბარსელონა“ კი, მგონი, ჯერჯერობით საამისოდ მოუმწიფებელია.

— ამჟამად ბუნდესლიგაში თუ არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მომავალში სუპერვარსკვლავები გახდებიან?

— ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ ჰელეს, ბეკენბაუერს, მარადონას, მათეუსს, რონალდოსა და ზიდანს ვერ გაუტოლდებიან. საკლუბო ფეხბურთში ბევრი რამე ფულზეა დამოკიდებული. მაღალი კლასის გერმანელი ფეხბურთელები ინგლისში მიდიან, იქ ხომ უკეთესი ანაზღაურებაა, ვიდრე ჩვენთან. სხვა მხრივ, ბუნდესლიგაში გაცილებით რთულია თამაში. ამიტომ კვლავაც მოქმედებს წესი: ვინც ბუნდესლიგაში თავს გამოიჩენს, მთელ მსოფლიოში პატივცემული და აღიარებულია.

— თითქმის ყველა ჯილდო მოიგეთ, მათ შორის უძვირფასესი რომელია?

— ყველაზე მეტად 1997 წელს გაგვიჭირდა, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. ფინალში „იუვენტუსს“ ვაჯობეთ, სუპერგუნდს, რომელშიაც დეშანი, ზიდანი, ბოკშიჩი, დელ პიერო და პერუცი თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატიც არასდროს დამავიწყდება, მე ხომ ნაკრებში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი.

— ბეკენბაუერმა მაშინ თქვა: „ანდრეას მიოლერი პატარაა, მაგრამ ლამაზია, როგორც დიდი თასი“.

— მსგავსი არაფერი მსმენია.

— ბევრს მიაჩნია, რომ თქვენ ინგლისში ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე გაიბრწყინეთ...

— მართალია, იქ ყველაფერი კარგად გამომდიოდა. მასპინძელთა წინააღმდეგ ნახევარფინალურ მატჩში კაპიტანი ვიყავი და მატჩისშემდგომ პენალტებში გამარჯვების გოლი გავიტანე. სამწუხაროა, რომ იმავე შეხვედრაში მეორე ყვითელი ბარათი მივიღე და ფინალი გამოვტოვე. თან მსაჯმა უხეშობისთვის კი არა, უბრალო კამათისთვის გამაფრთხილა.

— თუ იცით, რამდენჯერ მიიღეთ ყვითელი ბარათი ბუნდესლიგურ კარიერაში?

— არ დამითვლია. რამდენია?

— 51.

— თითქმის 18 სეზონში არც ისე ბევრი ყოფილა.

— არაერთი მეტოქე გადანაშაულებდათ საჯარიმოში მსახიობური წაქცევისთვის...

— 1995 წელს „კარლსრუესთან“ მატჩში ამ ხერხით მსაჯს პენალტი გამოვტყუე. მერე მამხილეს, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამომიწერეს და 10 ათასი მარკით დამაჯარიმეს. ცხადია, ასე არ უნდა მოქცეულიყავი, თუმც ოცწლიან კარიერაში ორ-სამჯერ წავიმსახიობე. დანარჩენ შემთხვევაში მსაჯები ნაღდ პენალტს ნიშნავდნენ.

— გერმანიის 1996 წლის ნაკრების ლიდერი მათიას ზამერი იყო, რომელიც იმავე სეზონში ევროპაში საუკეთესოდ აღიარეს. მასთან ერთად ეროვნულ გუნდშიც და „დორტმუნდშიც“ გითამაშიათ...

— ლიბეროს პოზიციაზე ზამერი ძალიან გააზრებულად მოქმედებდა. მოედანზე მწვრთნელივით ფიქრობდა. ამიტომაცაა, რომ მისი მწვრთნელობისას „დორტმუნდიც“ კარგი გუნდი იყო და ახლა „შტუტგარტიც“ საკმაოდ ძლიერია.

— ამბობენ, რომ ზამერი ზოგჯერ უცნაურად იქცეოდა. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში (1997) გამარჯვება თანაგუნდელებთან კი არ უზეიმია, გასახდელში გაქცეულა...

— ნამდვილად ასე იყო. ის გუნდის სურათშიც კი არ არის, მაგრამ ამას უცნაურობას ვერ დავარქმევ. ზამერი ხანდახან ზედმეტად პესიმისტური და ფრთხილი იყო. ფრიადზე ჩატარებული და ლაღად მოგებული მატჩების შემდეგაც კი არ ხარობდა, მაშინვე მომდევნო შეხვედრაზე იწყებდა ფიქრს.

— არაერთ ვარსკვლავთან ერთად გითამაშიათ, სხვებზე მეტად შთამბეჭდავი რომელი იყო?

— რობერტო ბაჯო. ჩვენ „იუვენტუსში“ ერთად ვთამაშობდით. მასთან არასოდეს მოიწყენ, მოედანზე თუ მოედნის გარეთ. ერთხელ ვმასხრობდით და ახალთახალი ფეხსაცმელი მაკრატლით დამიჭრა. არადა, იმ ფეხსაცმლით თავს ვიწონებდი.

— მართალია, რომ მათეუსთან ურთიერთობა წაგიხდათ?

— მათეუსი ხასიათის კაცია. ხან კარგად მელაპარაკება, ხან კი სახალხოდ მლანძღავს. განა ეს კინმეს ესიამოვნება?

— საკუთარ თავზე რას იტყვით?

— მე ძლიერი ნებისმყოფის პატრონი ვარ, პატივმოყვარე, საკმაოდ გამბედავი, გულღია. ვცდილობ, ყოველთვის კარგი განწყობა შევინარჩუნო. ამასთან, შეიძლება ხანდახან დაბნეული და არაპუნქტუალურიც ვიყო.

— ცხოვრებაში რაიმეს შეცვლა თუ გსურთ?

— არაფრის. ლამაზი ცოლი და სამი შვილი მყავს. თითქმის ყველა საფეხბურთო ჯილდო მომიგია და თავს ბედნიერად კაცად ვთვლი.

— თქვენი ჰობი?

— გემრიელი კერძები, გოლფის თამაში და მოგზაურობა მიყვარს. ფეხბურთის წყალობით ბევრ ცნობილ ადამიანს შევხვედრილვარ — ნელსონ მანდელას, ლეხ ვალენსას, ჰელმუტ კოლს...

სარგებელი: კროკ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		4 თებერვალი						
22:45	21	ვულვერჰემპტონი-სანდერლენდი	2.45	3.3	2.6	1.4	1.26	1.45
		5 თებერვალი						
15:30	22	ბარნლი-ლიდსი	2.2	3.3	3.0	1.32	1.26	1.57
18:00	23	ლესტერი-ქრიუ	1.75	3.3	4.3	1.14	1.24	1.86
18:00	24	მილუოლი-ქპრ	1.9	3.3	3.8	1.2	1.26	1.76
18:00	25	პრესტონი-ქოვენთრი	1.7	3.4	4.6	1.13	1.24	1.95
18:00	26	რედინგი-პლიმუთი	1.6	3.4	5.8	1.08	1.25	2.14
18:00	27	შეფილდი-იფსვიჩი	2.4	3.3	2.65	1.38	1.25	1.46
18:00	28	უოტფორდი-ჯილინგემი	1.8	3.3	4.3	1.16	1.26	1.86
18:00	29	უიგანი-სტოკი	1.5	3.6	6.5	1.05	1.21	2.31
18:00	30	როტერჰემი-ხოტინგემი	2.35	3.3	2.75	1.37	1.26	1.5
18:00	31	ბრაიტონი-დერბი	2.6	3.2	2.5	1.43	1.27	1.4
		6 თებერვალი						
16:00	32	ვესტ ჰემი-კარდიფი	1.75	3.3	4.6	1.14	1.26	1.92
		ინგლისი. I ლიგა						
		5 თებერვალი						
15:00	36	ბარნსლი-უენსდი	2.5	3.1	2.6	1.38	1.27	1.41
18:00	37	ბრედფორდი-ტრანმერი	2.6	3.2	2.45	1.43	1.26	1.38
18:00	38	ჩესტერფილდი-ჰარტლპული	2.35	3.3	2.65	1.37	1.24	1.46
18:00	39	კოლჩესტერი-ბლეკპული	1.9	3.2	3.65	1.19	1.24	1.7
18:00	40	ჰადერსფილდი-ლუტონი	2.65	3.3	2.35	1.46	1.24	1.37
18:00	41	ჰალი-ბრისტოლი	1.7	3.3	4.45	1.12	1.23	1.89
18:00	42	ოლდემი-სუინდონი	2.1	3.3	3.0	1.28	1.23	1.57
18:00	43	პიტერბრო-სტოკპორტი	1.85	3.3	3.6	1.18	1.22	1.72
18:00	44	პორტ ვეილი-ბორნმუთი	2.45	3.2	2.6	1.38	1.26	1.43
18:00	45	ტორკი-დონკასტერი	2.6	3.2	2.4	1.43	1.24	1.37
18:00	46	უოლსოლი-რექსემი	1.85	3.3	3.8	1.18	1.24	1.76
18:00	47	ბრესტფორდი-დონსი	1.5	3.5	6.0	1.04	1.2	2.21
		ინგლისი. II ლიგა						
		4 თებერვალი						
22:45	49	ნორთჰემპტონი-კემბრიჯი	1.45	3.6	6.6	1.03	1.18	2.32
22:45	50	სუონსი-საუთენდი	1.8	3.3	3.85	1.16	1.22	1.77
		5 თებერვალი						
18:00	51	უიკომბი-ბოსტონი	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57
18:00	52	ლინკოლნი-ოქსფორდი	2.05	3.2	3.1	1.24	1.23	1.57
18:00	53	ნოტსი-მენსფილდი	2.3	3.2	2.75	1.33	1.25	1.47
18:00	54	სკანთორპი-კიდერმინსტერი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
18:00	55	შრიუსბერი-ლეიტონი	2.45	3.2	2.55	1.38	1.24	1.41
18:00	56	როუერსი-ერიმსბი	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57
18:00	57	ბერი-დარლინგტონი	2.4	3.2	2.55	1.37	1.23	1.41
18:00	58	ჩელტენემი-რორდეილი	2.2	3.2	2.85	1.3	1.24	1.5
18:00	59	ჩესტერი-რაშდენი	2.0	3.2	3.3	1.23	1.24	1.62
18:00	60	მაკლსფილდი-იოვილი	2.45	3.2	2.55	1.38	1.24	1.41
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		5 თებერვალი						
18:00	67	ბერიკი-არბროთი	2.15	3.4	2.8	1.31	1.21	1.53
18:00	68	დამბარტონი-სტირლინგი	2.5	3.4	2.3	1.44	1.19	1.37
18:00	69	ფორფარი-სტრანრარი	2.7	3.5	2.15	1.52	1.19	1.33
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		5 თებერვალი						
18:00	70	ალბიონი-ისტ სტირლინგი	1.8	3.5	3.5	1.18	1.18	1.75
18:00	71	ისტ ფაიფი-ქუინ'ს პარკი	2.25	3.5	2.6	1.36	1.2	1.49
18:00	72	ერეტნა-ელგინი	1.1	6.5	12.0	1.0	1.0	4.21
18:00	73	მონტროუზი-სტენჰაუზმური	2.25	3.5	2.55	1.36	1.19	1.47
18:00	74	პიტერჰედი-კუდენბითი	1.25	4.5	9.0	1.0	1.09	3.0
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		5 თებერვალი						
17:30	75	ნიურნბერგი-ჰამბურგი	2.4	3.3	2.65	1.38	1.25	1.46
17:30	76	შტუტგარტი-ლაუტერნი	1.55	3.6	5.7	1.08	1.21	2.2
17:30	77	ბაიერნი-ლევერკუზენი	1.6	3.7	5.0	1.11	1.21	2.12
17:30	78	ბოხუმი-არმინია	2.0	3.3	3.35	1.24	1.25	1.66
17:30	79	ჰანოვერი-დორტმუნდი	2.35	3.2	2.75	1.35	1.26	1.47
17:30	80	ჰანზა-შალკე	4.2	3.4	1.8	1.87	1.25	1.17
17:30	81	მაინცი-ჰერტა	2.85	3.2	2.25	1.5	1.25	1.32
		6 თებერვალი						
19:30	82	მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი	1.6	3.6	5.3	1.1	1.22	2.14
19:30	83	ვოლფსბურგი-ვერდერი	2.45	3.2	2.65	1.38	1.27	1.44
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		4 თებერვალი						
21:00	85	კოტბუსი-ზაარბრიუკენი	2.25	3.1	2.9	1.3	1.26	1.49
21:00	86	დუისბურგი-ობერჰაუზენი	1.45	3.9	6.0	1.05	1.16	2.36
21:00	87	აინტრახტი-კიოლნი	2.4	3.1	2.65	1.35	1.25	1.42
		6 თებერვალი						
17:00	88	კარლსრუე-ალემანია	2.55	3.0	2.6	1.37	1.28	1.39
17:00	89	ერფურტი-ესენი	1.95	3.2	3.4	1.21	1.23	1.64
17:00	90	ტრირი-მიუნხენი	2.4	3.1	2.7	1.35	1.27	1.44
17:00	91	უნტერჰახინგი-ალენი	2.05	3.1	3.2	1.23	1.24	1.57
17:00	92	აუე-ფიურტი	2.5	3.2	2.55	1.4	1.26	1.41
		7 თებერვალი						
22:15	93	ბურგჰაუზენი-დინამო	1.75	3.2	4.0	1.13	1.21	1.77
		იტალია. სერია A						
		3 თებერვალი						
22:30	103	ბოლონია-პარმა	2.05	2.9	3.8	1.2	1.33	1.64
		იტალია. სერია B						
		3 თებერვალი						
22:30	115	კროტონე-ვიჩენცა	2.15	2.8	3.4	1.21	1.31	1.53
22:30	116	პიაჩენცა-მოდენა	2.2	2.8	3.3	1.23	1.32	1.51
22:30	117	ტერნანა-ემპოლი	2.5	2.7	2.9	1.29	1.34	1.39
22:30	118	ტრევიზო-პერუჯა	2.25	2.7	3.35	1.22	1.34	1.49
22:30	119	ტრიესტინა-სალერნიტანა	2.1	2.8	3.55	1.2	1.31	1.56
22:30	120	ვერონა-ვენეცია	1.55	3.3	6.0	1.05	1.23	2.12
22:30	121	ალბინოლეფე-პესკარა	2.0	2.8	3.9	1.16	1.32	1.62
22:30	122	ასკოლი-არეცო	1.85	2.8	4.5	1.11	1.31	1.72
22:30	123	ბარი-ჩეზენა	1.95	2.8	4.0	1.14	1.31	1.64
22:30	124	ჯენოა-ტორინო	1.85	2.8	4.6	1.11	1.31	1.74
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		5 თებერვალი						
23:45	162	რეალი-ესპანიოლი	1.4	3.8	8.0	1.02	1.19	2.57
22:00	163	სოსიედადი-ვალენსია	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
		6 თებერვალი						
19:00	155	ალბასეტე-სარაგოსა	2.3	3.2	2.9	1.33	1.28	1.52
23:00	156	ბარსელონა-ატლეტიკო	1.4	4.0	7.5	1.03	1.17	2.6
19:00	157	ბეტისი-ოსასუნა	1.8	3.2	4.3	1.15	1.26	1.83
19:00	158	ხეტაფე-ხუმანსია	1.75	3.3	4.4	1.14	1.25	1.88
21:00	159	დეპორტივო-ბილბაო	2.0	3.3	3.4	1.24	1.25	1.67
19:00	160	ლევანტე-სევილია	2.5	3.2	2.6	1.4	1.27	1.43
19:00	161	მალაგა-მალიორკა	2.1	3.2	3.3	1.26	1.28	1.62
19:00	164	ვილიარეალი-რასინგი	1.5	3.6	6.6	1.05	1.22	2.32
		საფრანგეთი						
		I დივიზიონი						
		5 თებერვალი						
19:15	176	ლილი-სოშო	1.8	2.9	5.0	1.11	1.32	1.83
22:00	177	ლიონი-ტულუზი	1.5	3.6	6.0	1.05	1.2	2.25
22:00	178	მარსელი-რენი	1.55	3.4	5.9	1.06	1.22	2.15
22:00	179	ნანტი-მონაკო	3.3	2.8	2.25	1.51	1.33	1.24
22:00	180	ნიცა-მეცი	1.9	2.9	4.2	1.14	1.3	1.71
22:00	181	აიაჩო-ისტრი	1.85	2.8	4.9	1.11	1.34	1.78
22:00	182	ოსერი-სტ.ეტიენი	1.7	2.9	5.5	1.07	1.29	1.89
22:00	183	ბორდო-ბასტია	1.6	3.0	7.0	1.04	1.3	2.09
22:00	184	სტრასბური-კაენი	1.95	2.8	4.3	1.14	1.34	1.69
		6 თებერვალი						
23:00	185	პსჟ-ლანსი	1.75	3.0	5.0	1.1	1.29	1.87
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		4 თებერვალი						
22:00	187	კლერმონი-შატორუ	2.6	2.6	2.85	1.29	1.35	1.35
22:00	188	კრეტეი-სედანი	2.8	2.6	2.65	1.34	1.36	1.31

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	189	ვენიონი-ლე ავრი	1.8	2.9	4.7	1.11	1.3	1.79
22:00	190	ლე მანი-ერენობლი	1.75	2.9	5.0	1.09	1.29	1.83
22:00	191	ლორიანი-ლავალი	2.15	2.7	3.5	1.19	1.33	1.52
22:00	192	ნანსი-ანჟე	1.45	3.6	6.8	1.03	1.19	2.35
22:00	193	ნიორი-დიჟონი	2.35	2.6	3.3	1.23	1.37	1.45
22:00	194	რეიმსი-ბრესტი	2.1	2.7	3.75	1.18	1.34	1.56
22:30	195	ამიენი-მონპელიე	2.4	2.8	2.9	1.29	1.31	1.42
		ბელგია. I დივიზიონი						
		5 თებერვალი						
20:00	197	ლიერსი-ბრიუგე	5.2	3.8	1.55	2.19	1.19	1.1
22:00	198	ვენჯი-ლუვიე	1.55	3.8	5.2	1.1	1.19	2.19
22:00	199	ბევერენი-სტ.ტრუიდენი	1.95	3.3	3.4	1.22	1.23	1.67
22:00	200	ოსტენდე-მონსი	2.55	3.2	2.5	1.41	1.26	1.4
22:00	201	ბრიუსელი-სტანდარდი	3.9	3.4	1.8	1.81	1.23	1.17
22:00	202	მუსერონი-ლოკერენი	2.35	3.3	2.7	1.37	1.25	1.48
		6 თებერვალი						
15:00	203	ვენტი-ანდერლეხტი	3.5	3.4	1.9	1.72	1.23	1.21
18:00	204	შარლეროა-ბევერსხოტი	1.7	3.4	4.5	1.13	1.23	1.93
17:00	205	სერკლი-ვესტერლო	2.35	3.4	2.6	1.38	1.23	1.47
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		4 თებერვალი						
22:00	216	ტილბურგი-ნაიმეგენი	1.9	3.3	3.6	1.2	1.24	1.72
22:00	217	გრააფსხაპი-ფეიენოორდი	5.5	3.6	1.55	2.17	1.2	1.08
		5 თებერვალი						
21:30	218	დენ ჰააგი-დენ ბოსხი	1.7	3.4	4.4	1.13	1.22	1.91
21:30	219	ჰერენვენი-ალკმაარი	2.45	3.3	2.55	1.4	1.24	1.43
		6 თებერვალი						
16:30	220	აიაქსი-ტვენტე	1.25	5.4	8.0	1.01	1.08	3.22
16:30	221	ვალვაიკი-ეროინინგენი	1.95	3.3	3.4	1.22	1.23	1.67
16:30	222	უტრეხტი-ბრედა	1.85	3.4	3.7	1.19	1.23	1.77
16:30	223	ვიტესი-როდა	2.05	3.3	3.2	1.26	1.24	1.62
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		3 თებერვალი						
22:00	224	სიტარდი-დორდრეხტი	3.35	3.3	1.95	1.66	1.23	1.22
22:00	225	ჰელმონდი-ვეენდამი	1.75	3.5	3.9	1.16	1.2	1.84
22:00	226	ოსი-კამბური	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62
		ესპანეთი. თასი						
		3 თებერვალი						
22:00	278	ვალიადოლიდი-ბილბაო	2.6	3.2	2.45	1.43	1.26	1.38
		საბერძნეთი. თასი						
		3 თებერვალი						
20:00	286	პანათინაიკოსი-აეკ	1.9	3.2	3.5	1.19	1.23	1.67
		ლიბერტადორესის თასი						
		3 თებერვალი						
23:45	296	ჟუნიორი-ორიენტე	1.3	4.3	8.0	1.0	1.11	2.79
23:45	297	უნივერსიტარია-პენიაროლი	1.55	3.6	5.0	1.08	1.18	2.09
		ჰოკეი. შვედეთი						
		3 თებერვალი						
21:00	336	ფერიესტადი-იურგორდენი	1.7	4.4	2.9	1.22	1.07	1.74
21:00	337	ლულეო-მორა	1.65	4.4	2.85	1.2	1.04	1.72
21:00	338	მალმიო-ლინხიოპინგი	2.9	4.4	1.7	1.74	1.07	1.22
21:00	339	სიოდერტელიე-ფრიოლუნდა	2.75	4.0	1.85	1.62	1.1	1.26
21:00	340	ბრიუნესი-მოდო	2.45	4.3	1.95	1.56	1.08	1.34
21:00	341	ტიმრე-პვ 71	1.65	4.4	3.0	1.2	1.06	1.78
		ჰოკეი. ფინეთი						
		3 თებერვალი						
19:30	353	ესპოო-იუვესკიულე	1.9	4.2	2.5	1.3	1.07	1.56

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	354	სეიპა-ტურკუ	3.2	4.2	1.65	1.81	1.08	1.18
19:30	355	ესეტი-ილვესი	2.15	4.0	2.3	1.39	1.14	1.46
19:30	356	ჰაამეენლინა-პელიკანსი	2.1	4.0	2.3	1.37	1.09	1.46
19:30	357	ტაპარა-კერპეტი	2.8	4.0	1.8	1.64	1.09	1.24
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		4 თებერვალი						
20:30	365	სპარტა-ლიტვინოვი	1.45	4.4	4.0	1.09	1.06	2.09
19:00	366	ვსეტინი-ლიბერეცი	2.6	4.2	1.85	1.6	1.08	1.28
19:00	367	ტრჟინეცი-სლავია	3.6	4.2	1.55	1.93	1.08	1.13
19:00	368	კარლოვი ვარი-ზლინი	2.3	4.2	2.0	1.48	1.06	1.35
19:30	369	ზნოიმო-კლადნო	1.8	4.2	2.7	1.25	1.08	1.64
19:30	370	დუკლა-ვიტკოვიცე	4.4	4.5	1.35	2.22	1.03	1.03
20:00	371	პარდუბიცე-პლზენი	1.55	4.3	3.6	1.13	1.08	1.95
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		4 თებერვალი						
19:30	384	სლოვანი-დუბნიცა	1.1	5.0	8.0	1.0	1.0	3.07
19:00	385	ტრენჩინი-ჟილინა	1.4	4.3	4.4	1.05	1.06	2.17
19:00	386	პოპრადი-კოშიცე	2.3	4.0	2.1	1.46	1.09	1.37
19:00	387	სკალიცა-ნიტრა	2.7	4.2	1.8	1.64	1.08	1.25
19:00	388	მიკულაში-ზვოლენი	2.55	4.0	1.9	1.55	1.08	1.28
		ჰოკეი. გერმანია						
		3 თებერვალი						
21:30	406	მანჰაიმი-ინგოლშტადი	2.1	4.2	2.2	1.39	1.07	1.44
		4 თებერვალი						
21:30	403	ჰანოვერი-კიოლნი	2.7	4.3	1.8	1.65	1.08	1.26
21:30	404	ჰამბურგი-ფრანკფურტი	2.25	4.3	2.2	1.47	1.11	1.45
21:30	405	აისბარენი-კასელი	1.3	4.8	5.5	1.02	1.05	2.56
21:30	407	კრეფელდი-აუგსბურგი	1.8	4.2	2.8	1.25	1.09	1.67
21:30	408	იხერლონი-ვოლფსბურგი	1.9	4.3	2.5	1.31	1.07	1.58



ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით


ტელეკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11103	ბოლონია-პარმა	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3

I ტაიმის შედეგი							
10103	ბოლონია-პარმა	2.5	2.0	3.7	1.11	1.49	1.29

ლუწი კენტი (ბოლი ბავა მატჩში თუ ვენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17103	ბოლონია-პარმა	1.85	1.95

ორიმელ ტაიმში ბავა მეტი ბოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15103	ბოლონია-პარმა	3.0	2.8	2.0

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში ბოლს (ძირითადი დრო(*))

		კი	არა
13103	ბოლონია-პარმა	1.7	1.9

რამდენი ბოლი ბავა მატჩში (ძირითადი დრო) (2.5-ზე ნაკლები - 2.5-ზე მეტი)

12103	ბოლონია-პარმა	1.7	1.9

ფრეის ბარიერი (ძირ. დრო)

16103	ბოლონია-პარმა	1.4	2.45

რიმელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ბაიტი ან ბანაბარი, უმთავრესად, ორივე შესრული ზანგრულად ჩაითვლება)

14103	ბოლონია-პარმა	1.75	2.1

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

NBA-ს ლეგენდები

ბობ კოუზი



„შენ წარუშლელი კვალი დატოვე თამაშზე“

პრეზიდენტი ჯონ კენედი

„მის გარეშე „სელტიქსი“ არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო. მას რომ ქალაქ ნიუ იორკში ეთამაშა, ბეიბი რუთივით დიადი და სათაყვანებელი იქნებოდა...“

„ბოსტონ სელტიქსის“ მფლობელი უოლტერ ბრაუნი

„დოქტორმა ჯეიმს ნეისმიტმა გვაჩუქა კალათბურთი, ბობ კოუზიმ კი ეს თამაში ხელოვნებად აქცია...“

უცნობი მწერალი

პატარა ჯადოქარი

ხელოვნება და სილამაზე ბუნებიან და ხელისუფლება-პოლიციისგან მივიწყებულ ადგილებშიც იბადება, მაგალითად, აღმოსავლეთ მანჰეტენის გეტოში, ღამის ტაქსის მძღოლის ოჯახში... ნიუ იორკში „ამერიკული ოცნების“ დასაბერად საოჯახეთიდან გადახვეწილი მამა ღამენაბეხი და თვალგაბოდიალებული გამოუნიათხას ბრუნდება შინ და ნაშუადღევს გამოღვიძებულს უწყვეს ცოლის გაუთავებელი წუწუნის მოსმენა, რომ ბაჭმელი გათავდა, რომ შუქის ფული გადასახდელია, რომ მთამ „საგვარელმა“ ბიჭმა მეზობელს ფანჯარა ნაუმტვრია, ან ხიდან ნამთვრალი და ხელი მოიტეხა, რომ ასე ცხოვრება უკვე შეუძლებელია...

ღილი ნიტირეკია ბიჭი იყო როჩესტერი, ამერიკულად კი უბრალოდ ბობი ცალქი, ძოუსვენარი და, რა თქმა უნდა, ყოველგვარი თამაშის მოყვარული, ასეთები ძალიან ბევრნი იყვნენ...

მეორე მსოფლიო ომის დროს სკოლაში, როგორც ყველა, ისიც დასდევდა რეზინის დიდ ბურთს, მაგრამ სხვებისგან ბევრი არაფრით გამორჩეული, თან ცოტა ზარმაცი ბობი ორჯერ გამოიგდეს სკოლის ნაკალათბურთიო გუნდიდან. 13 წლისამ ძარღვენა ხელი მოიტეხა და მისი კალათბურთიც ითქოს აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მისდა ბედად ბობ კოუზი ჯიუტიც გახლდათ. მან მარცხენა ხელში აიღო ბურთი და...

ერთხელაც ყოფილმა მწვრთნელმა თვალი შეასწრო: კოუზი ბურთს ათამაშებდა, ძარღვენათი, მარცხენათი, წინ, უკან, შემდეგ, ბოლ, და... ფეხებშეა... „ოჰო! ეს რა იყო?“ — საკუთარ თავს შეეკითხა მასტერ გრამონდი. რამდენიმე დღის შემდეგ ბობ კოუზი ისევ ჩაირიცხა სკოლის გუნდში. წელიწადახეკარში ის უკვე ვარსკვლავი ვიყო, ხოლო ეხლრეთ ჯეკსონის ხეოლამ კოუზის 26 ქულის წყალობით ნიუ იორკის პირველობა მოიგო.

1946 წელს კოუზი მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ვოლჩესტერის უნივერსიტეტ ჰოლი კროსში ჩაირიცხა და მაშინვე დაიწყო საკალათბურთო სტერეოტიპების ნგრევა. მწვრთნელს ხშირად გამოუყვანია თამაშიდან იმის გამო, რომ ეს მხოლოდ 185-სანტიმეტრიანი, მაგრამ საშინლად თავდაჯერებული ბიჭი ზედმეტად ხშირად აგდებდა ბურთს იატაკზე, ანაც ორი ხელის ნაცვლად ცალით და ისიც ზშირად მარცხენათი ისროდა ბურთს. მაშინდელი კალათბურთი არ იყო მზად ასეთი რამეებისთვის და კოუზი ვერ ჯდებოდა ამ თამაშის რაციონალიზმის ჩარჩოში. სტუდენტური ჩემპიონატის ერთ თამაშში, ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის წინააღმდეგ შეხვედრაში ფინალიორობისთვის დასჯილი კოუზი სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, როგორ აგებდა მისი ჰოლი კროსი. მწვრთნელი არც აპირებდა მის თამაშში ჩართვას, მაგრამ ათასობით მაყურებლის სურვილს დაემორჩილა და კოუზი მოედანზე შეუშვა. დარჩენილ ხუთ წუთში კოუზიმ 11 ქულა გააკეთა და გაცილებით მაღალი მოწინააღმდეგის ხელებზემოდან მარცხენა ხელით გამარჯვების ბურთიც ჩაავდო.

ნბა-ში გადაბარგების დროც დადგა. 1950 წლის დრაფტზე კოუზი წესით „ბოსტონს“ უნდა აეყვანა, რაკი ჰოლი კროსის უნივერსიტეტი ამ ქალაქიდან ერთი საათის სავალზე იყო და მას იქ უფრო იცნობდნენ. მაგრამ „სელტიქსის“ მფლობელმა უოლტერ ბრაუნმა კლუბის ახალ მწვრთნელ რედ აუერბახს ამ ბიჭის არჩევა რომ შეთავაზა, მომავალმა ლეგენდარულმა მწვრთნელმა კოუზიში მომავალი ლეგენდარული მოთამაშე ვერ ამოიცნო და კატეგორიული უარი გამოაცხო. „მე სიფლის გუნდების კუმირები კი არა, დიდი მოთამაშეები მჭირდება“ — შეუვალი ტონით ბრძანა აუერბახმა და 210-სანტიმეტრიანი ჩაკ შეირი აიყვანა.

მაგრამ ბობ კოუზის ბედის კარაბადინში მაინც „ბოსტონ სელტიქსში“ თამაში ეწერა და რამდენიმე თვეში სწორედ იქ მიიყვანა გზამ. კოუზი „ტრი-სიტი ბლექჰოქსმა“ აირჩია დრაფტზე და როგორც გამოუსადეგარი პატარა გამთამაშებელი, „ჩიკაგო სტეგზს“ დაუთმო. ეს გუნდი რამდენიმე კვირაში დაიშალა და მის მოთამაშეებზე სხვა კლუბებმა იწყეს ნადირობა. სამმა ყველაზე მარჯვე გუნდმა — „ნიუ იორკმა“, „ბოსტონმა“ და „ფილადელფიამ“ — გადაწყვიტა, სამი ჩიკაგოელი ერთმანეთში გაეყო. ვერ მორიგდნენ, რადგან სამივე ორმეტრიან გოლიათ მაქს ზასლოფსკის იჩემებდა. გამართეს კენჭისყრა და როგორ ფიქრობთ, ვის შეხვდა სამი მოთამაშიდან ყველაზე ნაკლებად ცნობილი და არასასურველი? რა თქმა უნდა...

კარგა ხანი დასჭირდა სკეპტიკოსი აუერბახის ნდობის მოპოვებას, მაგრამ კოუზი თავისი ცალხელა და „ცანცარა“ თამაშით ავსებდა 20-ათასიან „ბოსტონ გარდენს“, თანაც 22 წლიან ვეტერანდასთვის მატჩში საშუალოდ 19,5 ქულა და 4,9 პასი ურიგო შედეგი ნამდვილად არ იყო. მანამდე სამი წელი მაჩანჩალა „სელტიქსმაც“ მოგებებს უხშირა, 1950-51 წლების სეზონი არსებობაში პირველად დაასრულა დადებითი ბალანსით და აუერბახი „ენდო“ ბურთიან კლოუნს.

1953 წელი, „სირაკუზ ნეშნელზთან“ საპლეიოფო სერიის მეორე მატჩი: მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებისთვის კოუზის 24 ქულა აქვს მოგროვილი, 25-ე საჯარიმოა, ანგარიში 77:77 თანაბრდება და შეხვედრა დამატებით დროში გადადის. ექვს ქულას აგდებს კოუზი პირველ ოვერტაიმში, ოთხს — მეორეში, რვას — მესამეში, შვიდს — მეოთხეში...

ის თამაში 3 საათსა და 11 წუთს გაგრძელდა და ნბა-ს ისტორიაში გამორჩეული შრიფტით ჩაიწერა. „ბოსტონმა“ 111:105 მოიგო და ყველა მიხვდა, რომ ნბა-ში ახალი ეპოქა დაიწყო, ბობ კოუზის ეპოქა. გაზეთები აჭრელებულია მყვირალა მეტსახელებით — „ბურთის ჯადოქარი!“, „კალათბურთის ჰუდინი!“, „მისტერ კალათბურთი!“ ზოგჯერ კი უბრალოდ „კუზი“.

13 წელი თამაშობდა ბობ კოუზი ნბა-ში და 13-ვე წელი „ბოსტონ სელტიქსში“ გაატარა. ის მარტო არასდროს ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ყველასგან გამოირჩეოდა. მომაკვდინებელი დრიბლინგი და პასი ჰქონდა, ამავდროულად როცა ის მოედანზე იყო, „თეთრ-მწვანეთა“ თამაში სპეცეფექტებით გაჯერებულ ფილმს ჰგავდა. 50-60-იან წლების „ბოსტონი“ ამერიკის საკლუბო სპორტის ისტორიაში ყველაზე იდიალურ გუნდად ითვლებოდა და ეს გუნდი ბობ კოუზის გარშემო აშენდა. ნბა-ს სარეკლამო რგოლებში დღესაც ნახავთ რამდენიმეწამიან შავ-თეთრ კადრებს, როცა ხუთივე მოწინააღმდეგე ერთ პატარა კაცს დასდევს ბურთს წასართმევად. ეს პატარა, ეს ძალიან დიდი კაცი ბობ კოუზია.

13 ოლ სტარი ითამაშა, ექვსჯერ მოიგო ნბა-ს ფინალი (1957, 59-63), 1957 წელს სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს და მას შემდეგ ეს ტიტული მხოლოდ ერთხელ შეხვდა 195 სანტიმეტრზე დაბალ მოთამაშეს. 44 წლის მერე, 2001 წელს ალენ აივერსონი გახდა უძვირფასესი.

ბობ კოუზი, რა თქმა უნდა, კალათბურთის დიდების დარბაზის წევრია. ახლა ის მომღიმარი მოხუცია და მიუხედავად იმისა, რომ მრავალ დიდ თანამდებობაზე უმუშავია, ყველასათვის უფროსი ძმასავით იყო.

რასაც ბობ კოუზი ჯეელობაში აკეთებდა, დღეს იმ ელემენტებს ნებისმიერი მოზარდი კალათბურთელი გაცილებით იოლად და სხარტად შეასრულებს. მაგრამ თუ ბურთი ერთხელ მაინც გაგიტარებიათ ფეხებშუა, დაიმახსოვრეთ, რომ ბობ კოუზიმ პირველად ეს მაშინ გააკეთა, როცა ჰიტლერი მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობდა, ხოლო ამერიკაში კალათბურთელები ყველაზე გაცხარებულ თამაშშიც კი იატაკზე მილურსმულები ისროდნენ ბურთს კალათში.

ირაკლი ფირაზვილი



საქართველოს ჩემპიონატი

ავია ვნახე დაჭრილი...

10060 ლარი მაჩალაძისთვის

დღეს მეორე წრე საინტერესო მატჩით სრულდება. „სტუ-ჯეოსელი“ და „თბილავიამშენი“ აქამდე თანაბრად მოსულან და ამათი ჯახის შემდეგ ერთ-ერთს ლიდერებთან ჩამორჩება მოუწევს, სადღეისოდ კი ჩემპიონატს სამი მოწინავე ჰყავს. ამ გუნდებთან ერთად თბილისის „დინამოსაც“ ორი მარცხი აქვს და ეს ტრიოა, ჩემპიონატში ამინდს რომ ქმნის

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ ტრადიციული წინასამატჩო პრესკონფერენცია მოეწყო, რომელიც ყოველი ტურის ცენტრალურ შეხვედრას ეძღვნება.

ვაჟა მხეიძე, „ავიამშენის“ მწვრთნელი — „ბატონი ლევან მოსეშვილი მკურნალობს და პრესკონფერენციაზე ვერ მობრძანდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის უკანახაზელი მამუკა აბრამიძე, ორშაბათს ავტოკატასტროფაში მოხვდა. საბედნიეროდ, იგი გადარჩა, მაგრამ სულ ცოტა, ერთი თვე მაინც დასჭირდება, რომ ვარჯიში განაახლოს.

ზაზა მაჩალაძის მდგომარეობის შესახებ ფედერაციის პრესატაშემ ზურაბ თალაკვაძემ ისაუბრა:

„მაჩალაძის მდგომარეობა არ გაუარესებულა, მაგრამ ჯერ არც უკეთესობა ეტყობა. ის ჯერაც არ გამოფხიზლებულა, კიდევ უგონოდაა. რეანიმაციაშია და ექიმები ყველაფერს აკეთებენ მის გადასარჩენად. მკურნალობა მეტად ძვირია, მაგრამ ამ მხრივ ზაზას ოჯახს არავითარი პრობლემა არ შექმნია. ღუდუშაურის კლინიაში უკვე გადაირიცხა 10060 ლარი. ეს თანხა მაჩალაძის მკურნალობას დასჭირდება რეანიმაციაში ყოფნამდე. თანხა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, კალათბურთის ფედერაციამ, ზაზას ახლობლებმა და ჩემპიონატში მონაწილე კლუბებმა გაიღეს. იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება. ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა თავის თავზე აიღო მაჩალაძის სარეაბილიტაციო ხარჯები და ზაზას არც მომავალში შეექმნება პრობლემები.“

ამასობაში სტუ-ს ჯერიც დადგა. მის მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს ჰკითხეს, რით ახსნით, რომ შედარებით სუსტი შემადგენლობის „დინამო“ ცხრილში თქვენზე მაღლაა...

— ჩვენ ჯერაც იმ თამაშის ძიებაში ვართ, რომელიც წარმატებას მოგვიტანს. ეს გახლავთ მყარი დაცვა, რომლის გამოსასწორებლადაც ვმუშაობთ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ ჩემპიონატის გასული ტურის მატჩის პირველი ტაიმი თსუსთან და ამ საწყის 20 წუთში მხოლოდ 30 ქულა ჩაგვიგდეს, მაგრამ შემდეგ ავირიეთ და ორი ამდენი მივიღეთ. მალე ალბათ ყველაფერი კალაპოტში ჩაჯდება. რაც შეეხება ცხრილში პირველობას, გამარჯვებულს მეორე წრის ბოლოს ვნახავთ, ახლა ლიდერობა კი არაფერია. მთავარია, საბოლოოდ ვინ მოიგებს რეგულარულ ჩემპიონატს.

— *გეტყობათ, გაძლიერებას აპირებთ...*

— დღე-დღეზე ველოდებით ვახტანგ მინაშვილს, რომლის გუნდმაც უკვე დაასრულა გამოსვლა თეირანის ჩემპიონატში. ის იმიტომ შეყოვნდა, რომ ხელფასს ელოდება. როგორც კი აიღებს, ჩამოვა და შემოგვიერთდება. ასევე დაგვემატება დავით ერქვანია, რომელიც ლიტვიდან გათავისუფლების ფურცელს ელის.

ავიატორთა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ ბოლოს ტრავმირებულებზეც ისაუბრა.

— აბრამიძეზე იცით და ვერც კახა შენგელია დაგვეხმარება. მას ჯერაც ტრავმა აწუხებს. მართალია შესუსტებულები ვხვდებით სტუ-სთან პრინციპულ მატჩს, მაგრამ „ავიამშენი“ მხოლოდ მაქსიმუმისთვის იბრძვის და ხვალაც მოგებას ვგეგმავთ.

ავიატორთა ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ხოშტარიამ კი უფრო დააკონკრეტა, რის ხარჯზე აპირებს მისი გუნდი გამარჯვებას:

— მოიგებს ის, ვინც დაცვაში უკეთ ითამაშებს და ჩვენი მიზანიც უპირველესად ესაა. სტუ სწრაფი გუნდია, კონტრშეტევების განხორციელებას ეტანება და ამ განზრახვაზე მხოლოდ გამართული დაცვით თუ ავაღებინებთ ხელს.

ტექნიკოსთა ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა კი თადარიგი დაიჭირა, მოგება ორივე გუნდს სჭირდება და ძლიერი თამაშის ბოლოს გამოჩნდებაო.

დაბოლოს ამ სეზონში „ავიამშენს“ სამიდან სამჯერვე დაუმარცხებია „სტუ-ჯეოსელი“ — ორჯერ ჩემპიონატში და ერთხელაც თასზე.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი



მინესოტელი ედი გრიფინი და მილუოკელი ზაზა ფაჩულია

1 თებერვალი

მილუოკი 91:86 მინესოტა

მილუოკი: უილიამსი (4), რედი (19), კუკოჩი (9), სმიტი (17 ქულა, 12 მოხსნა), გაძურიჩი (8 ქულა, 12 მოხსნა); ჯეიმსი (10), სტრიკლენდი (10), **ფაჩულია** (21 წუთი, 9 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი), ვან ჰორნი (5)

მინესოტა: კასელი (8), ჰასელი (10), სტრიუელი (24), გარნეტი (15 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ჯონსონი; შჩერბიაკი (9), ჰადსონი (5), ოლოვოკანდი (4), ჰოიბერგი (1), გრიფინი, ტომასი, კარტერი

დენვერი 96:76 ნიუ იორკი

დენვერი: მილერი (6), ბაკნერი (2), ენტონი (19), მარტინი (27), კემბი (10 ქულა, 10 მოხსნა); ბოიკინსი (11), ნენე (9 ქულა, 11 მოხსნა), **ცაბტიშვილი** (5 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება), რასელი (4), ვაიტი (4), ჯონსონი

ნიუ იორკი: მარბერი (10), კროუფორდი (20), არიზა (5), კ. ტომასი (6), მუჰამედი (7); ჰარდვეი (15), ნორისი (7), ბრიუერი (4), სვიტნი (2), უილიამსი, ბეიკერი, სანდოვი

მემფისი 108:97 ფინიქსი

მემფისი: უილიამსი (19), ჯონსი (17), სვიფტი (16)

ფინიქსი: ჯონსონი (30), სტუდემაირი (22 ქულა, 19 ქულა), მარიონი (15 ქულა, 14 მოხსნა)

ორლანდო 105:102 კლივლენდი

ორლანდო: ფრენსისი (30 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა), ჰილი (21)

კლივლენდი: ჯეიმსი (28), მაკინისი (19)

საკრამენტო 101:106 სიეტლი

საკრამენტო: ბიბი (25), სონგაილა (19)

სიეტლი: ლუისი (24), მიურეი (23)

დალასი 109:104 მაიამი

დალასი: სტეკჰაუზი (24), ნოვიცკი (19), ტერი (18), დამპიე (15 ქულა, 14 მოხსნა)

მაიამი: ვეიდი (29), ონილი (25 ქულა, 13 მოხსნა), ბატლერი (20)

იუტა 105:109 შარლოტი

იუტა: კირილენკო (27 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), გირიჩეკი (21)

შარლოტი: ვოლესი (28), ნაითი (30)

ლეიკერსი 92:79 პორტლენდი

ლეიკერსი: ბატლერი (19 ქულა, 10 მოხსნა), ეტკინსი (19), ოდომი (18)

პორტლენდი: სტუდემაიერი (25), პატერსონი (20), ვან ექსელი (18)

ვაშინგტონი 96:105 დეტროიტი

ვაშინგტონი: ჯემისონი (26), არენასი (21)

დეტროიტი: ბილაფსი (28), პრინსი (25), ჰამილტონი (23)

ნიუ ჯერსი 107:97 ჩიკაგო

ნიუ ჯერსი: კარტერი (31), კიდი (26 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი), ჯონი (23)

ჩიკაგო: ჰაინრიხი (18 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), გორდონი (17)

დიმიტრი იაშვილს დეზები ისევ ამოუვიდა



შარშან საფრანგეთის გამარჯვებაში დიმიტრი იაშვილმა (მარჯვნიდან მეორე) მამლის წილი დაიდო

უძველესი, ძალიან პრესტიჟული და ტრადიციული სარაგბო ტურნირი, რომელსაც წინათ 4 ერის, შემდეგ 5, ახლა კი 6 ერის თასი ჰქვია, შაბათს, 5 თებერვალს იწყება და ურიგო არ იქნება, მონაწილე გუნდების სამზარეულოში შევიხედოთ.

ბოლო ტურნირი ფრანგებმა მოიგეს და ჩვენც მათი ამბებით დავიწყოთ.

„მამლების“ დამრიგებელ ბერნარ ლაპორტს თავსატეხი გასჩენია — რამდენიმე ისეთ ჯეელს მოისაკლისებს, რომელთა დიდი იმედიც ჰქონდა. სერჟ ბესენი, ოლივიე მანი, პასკალ პაპე, ჟულიენ პეირელონჟი, იანიკ ჟოზონი და ნიკოლას ბრუსკე ლაზარეთში არიან.

ამათ ახლა ჟან ბაპტის ელისალდეც მიუმატეთ, ნოემბრის ტესტ-მატჩებში თავიდან რიხინ-რიხინით რომ ურტყამდა სამქულიან საჯარიმოებს, ბოლოსკენ კი აურია და მიზანი აუცდა. მისი არყოფნის მიზეზი ტრავმა არაა, რაც სასიხარულოა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტრავმა რა სანატრელია, მეორე კი იმით, რომ მას სხვა მორაგბე ანაცვალეს და ეს სხვა დიმიტრი იაშვილია, რომელიც ამ ბოლო დროს თურმე ლაპორტს ელისალდეზე მეტად მოსდის თვალში.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მწვრთნელმა 22-კაციანი შემადგენლობა უკვე დაასახელა. მასში რამდენიმე ნაკლებად გამოცდილი მორაგბეა, თუმც 5 თებერვალს თამაში შედარებით სუსტ შოტლანდიასთანაა და ეგებ ლაბორტი ამ ბიჭებითაც გავიდეს ფონს.

ირლანდიელებმა შარშანდელი პირველობა მეორე ადგილზე ჩაამთავრეს და მაინც გულდაწყვეტილები დარჩნენ. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან და თანაც „დაუძინებელი მტერი“, ინგლისის ნაკრები ინგლისშივე დაამარცხეს, მაგრამ მაინც ვერ უწიეს პირველ ადგილს, რადგანაც ფრანგებთან წააგეს უკანასკნელ მატჩში და თასიც მათ დაუტოვეს.

ახლა ირლანდიელები იმედით უყურებენ მომავალს, რადგანაც კალენდარი მეტად ხელსაყრელი აქვთ. პირველ მატჩს 5 თებერვალს იტალიაში ატარებენ და რაგბიში ჩახედული ხალხი მათ გამარჯვებაში დარწმუნებულია. ერთი კვირის შემდეგ ისევ გასვლა აქვთ და ისევ შედარებით სუსტ მეტოქესთან, ამჯერად შოტლანდიასთან. 27 თებერვალსა და 12 მარტს კი ინგლისსა და საფრანგეთს მასპინძლობენ. თუ ეს 4 თამაში მოიგეს, 19 მარტს კარდიფში უელსთან სათამაშოდ იმედიანად გაემგზავრებიან.

ინგლისელები შარშან მესამეზე გავიდნენ და ისეთმა პრინციპულმა მეტოქეებმა გაუსწრეს, როგორებიც ფრანგები და ირლანდიელები არიან. ფრანგებთან ხომ ისტორიულად დღენიადაგ ქიშბობა აქვთ, კელტ-იბერებთან კი რა მტრობაც გააჩნიათ, მარტო წარსულის ამბავი არ არის, ამიტომაც თავმოყვარეობაშელახული მსოფლიოს ჩემპიონები გულზე მჯიღს იცემენ.

პრობლემაც გასჩენიათ. ჩემპიონატის მატჩში ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე დენი გრიუკოკი არაჯანტლმენურად მოიქცა და ნაკრების ყოფილ კაპიტან ლოურენ დალალიოს წიხლი უთავაზა. ამის გამო გრიუკოკის ნაკრებიდან მოკვეთაზეც იყო საუბარი, თუმც გუშინ გადაწყდა, რომ ეს არ მოხდება და ინგლისელებიც გადარჩნენ.

პირველ ტურში ინგლისელები სტუმრად თამაშობენ უელსის ნაკრებთან უელსელებზე ბევრიც არაფერი გვაქვს სათქმელი. ერთი ეგაა, რომ ნაკრებს ტრავმის მერე გამოცდილი მარტინ უილიამსი დაუბრუნდა. ამათ მეზობელ შოტლანდიელებს რაც შეეხებათ, სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვით. ტრავმების გამო ალან ჯეიკობსენი და როს ბიტი გამოაკლდებათ.

ბოლოს კი იტალია დაგვრჩა. ამათზე რა გითხრათ, ბევრი არაფერი გაგვიგია. შინ სხვდან და ინგლისელთა მასპინძლობისათვის ემზადებიან.

ლადო ფულუკიძე



ვაჟრად დოლაბაძეებისეული ფოტო

რამაზ ნოზაძემ დიღომშიც გაიბრწყინა

ბერძენ-რომაელები თავისუფლები არიან, თავისუფლები ჯერ არა

ქართველ მოჭიდავეთა დიდმურმა ოთხდღეულმა გუშინ სალამის ეკვატორი გადალახა. ბერძენ-რომაელებმა ჩემპიონ-პრიზიორები გამოავლინეს და ხალიჩა თავისუფლებს გადაულოცეს. მარიალია, ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობის ოფიციალური გახმოვანების ცერემონიამ კიდევ ორი დღით გადაიწია, მაგრამ ვინც არ უნდა დანიშნონ, საევროპო შემადგენლობას ვედარავინ შეცვლის. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ბაკურ გოგიტიძის უპირველესი მოთხოვნა ნაკრების ეროვნული ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტება იყო და რადგან უკვე შვიდივე წონის ჩემპიონი ცნობილია, ჩავთვალოთ, რომ აპრილში ვარნაში წამსვლელებიც ვიცით.

ახალი წესების ამოქმედების გამო პირველი ტურნირის დაწყებამდე პროგნოზებისგან ყველა თავს იკავებდა. ყველა ჩოქბაჯენობის ჯამს სახელდაგდებული ბიჭების სიახლეებზე გადაწყობას ელოდა, თუმც ბერძენ-რომაელებმა საქმე ისე მოილიეს, სენსაციურ შედეგებს არ შევსწრებივართ. ერთადერთი ოლიმპიელი, რომელმაც იჭიდავა და ჩემპიონობამდე ვერ მიაღწია, ირაკლი ჭოჭუა იყო, მაგრამ მოულოდნელ შედეგად მის მარცხს თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო არ მივიჩნევთ, რომ ირაკლიმ ძალა ახალ წონაში 60 კილოგრამში მოსინჯა.

მსოფლიოს თასის მფლობელ ყველაზე მსუბუქ ქართველს მედლისკენ მიმავალი გზა ჭაბუკმა ქუთაისელმა თორნიკე ჯანელიძემ გადაუკეტა. არადა, მანამდე ჭოჭუამ ამ წონის ერთ-ერთ ფავორიტს პაატა ბიწაძეს სძლია. ვერც ბიწაძემ და ვერც ჭოჭუამ დამამშვიდებელ რაუნდში გადართვა ვეღარ მოახერხეს, რადგან შემდეგ წრეში ჯანელიძეც დამარცხდა. საბოლოოდ თორნიკე მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო ფინალში აჭარელმა დავით ბედინაძემ და რუსთაველმა ზურაბ ზავრაშვილმა იჭიდავეს.

სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრი, რომ ფრისშემდგომი შეკვრა პირველი შემკვრელის წისქვილზე წყალს ვერაფრით ასხამს, ბედინაძე — ზავარაშვილის შეხვედრამაც დაადასტურა. ორივე პერიოდი ფრედ დასრულდა და მონეტა ორჯერვე ზავარაშვილს დაუჯდა, თუმც ილეთისთვის განკუთვნილი 30 წამი ვერაფრით გამოიყენა და საბულგარეთო გუნდში ბედინაძე ჩაეწერა.

74 კილოგრამის ფინალში უკვე ზემოთ ნახსენები სპეციალისტების ოპონენტებს გაუმართლდათ მტკიცებულებები. თავისი შეკვრა ოზურგეთელმა მანუჩარ კვირკველიამ ისეთი გდებით დააგვირგვინა, სალაპარაკო არავის დაუტოვა. ერთი წონით მაღლა ანაცვლებულმა მსოფლიოს ჩემპიონმა მანამდეც ბრწყინვალედ იჭიდავა და ლამაზი გდებებიც მრავლად აკეთა, თუმც მისი და აჭარელი რამინ ფეკაძის შეხვედრას მცირე გაუგებრობა მოჰყვა. აჭარის გუნდის წევრებმა მსაჯის გადაწყვეტილება ხმამაღლაც გააპროტესტეს, მაგრამ საქმე ვიდეოჩანაწერის ნახვის გარეშე მიიფარცხა. მიუხედავად ამ უსიამოვნო მომენტისა, არ შეცდებით, თუ კვირკველიას გუშინდელი დღის ერთ-ერთ გამორჩეულ მოჭიდავედ დავასახელებთ.

საუკეთესო კი ულაპარაკოდ ოლიმპიური პრიზიორი რამაზ ნოზაძე იყო. ჩოქბაჯენის ოსტატი რომ ახალი წესებით ჭიდაობაშიც მსოფლიო დონის ვარსკვლავად დარჩება, რამაზის გუშინდელი ჭიდაობით დაამტკიცა. ისე გაჩემპიონდა, მეტოქეებისთვის მცირე შანსიც არ დაუტოვებია. ნოზაძისა და მასავით საერთაშორისო ტიტულებით დახუნძლული გივი მორჩილაძის საფინალო შეხვედრით ჩემპიონატი დასრულდა და შესანიშნავი შვიდეულიც შეივსო: მირიან ნიშნიანიძე (55კგ. ქუთაისი), დავით ბედინაძე (60კგ. აჭარა), მუხრან მაჭუტაძე (66კგ. აჭარა), მანუჩარ კვირკველია (74კგ. ოზურგეთი), ბადრი ხასაია (84კგ. თბილისი), რამაზ ნოზაძე (96კგ. თბილისი), მირიან გიორგაძე (+120კგ. თბილისი).

დღეს-ხვალ საჭიდაოდ თავისუფლები აჭიდავდებიან. წინასწარი ინფორმაციით, იქაც ყველა უძლიერესი გავა ხალიჩაზე ნაკრების ორი გორელი წევრის, დავით პოღოსიანისა და ოთარ თუშიშვილის გარდა. საქართველოს ჩემპიონატიდან ეროვნულ გუნდში მოხვედრას რუსეთიდან დაბრუნებული გიორგი გოგშელიძეც შეეცდება.

ოთარ გალლაკელიძე

60კგ
1 დავით ბედინაძე (აჭარა)
2 ზურაბ ზავრაშვილი (რუსთავი)
3 ალექსანდრე ტაბატაძე (თბილისი)
3 თორნიკე ჯანელიძე (ქუთაისი)

74კგ
1 მანუჩარ კვირკველია (ოზურგეთი)
2 ნუგზარ ცალულელაშვილი (გარდაბანი)
3 შმაგი სალთხუციშვილი (გარდაბანი)
3 გენადი გოგიშვილი (თბილისი)

96კგ
1 რამაზ ნოზაძე (თბილისი)
2 გივი მორჩილაძე (თბილისი)
3 ალექსანდრე ბურდილაძე (რუსთავი)
3 პაატა დვალიძე (თბილისი)

მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაუჩები

ტუნისი 23 იანვარი — 6 თებერვალი. მეორე ჯგუფი

I ჯგუფი

სლოვენია 26:26 ტუნისი
საფრანგეთი 31:26 ჩეხეთი
საბერძნეთი 29:24 რუსეთი

ტუნისი	1	3	0	115:104	5
საფრანგეთი	2	1	1	101:94	5
საბერძნეთი	2	1	1	105:107	5
რუსეთი	2	0	2	102:102	4
სლოვენია	1	1	2	116:114	3
ჩეხეთი	1	0	3	100:118	2

II ჯგუფი

ესპანეთი 28:28 სერბეთი
ნორვეგია 34:31 შვედეთი
ხორვატია 29:26 გერმანია

ხორვატია	3	0	1	115:112	6
სერბეთი	2	2	0	104:102	6
ესპანეთი	2	1	1	124:115	5
ნორვეგია	2	1	1	113:108	5
გერმანია	0	1	3	105:113	1
შვედეთი	0	1	3	110:121	1

ტუნისში ყველაფერი ჩაისლართა

მსგავსი ჩახლართული ვითარება ძნელი წარმოსადგენია და ადრე არც მომხდარა. დასკვნითი ტურის წინ რვა გუნდი აცხადებს სანახევარფინალო ოთხ ადგილზე პრეტენზიას. არაა გამორიცხული, რომ სამედლო კვარტეტში გამსვლელის ვინაობა ქულებმა კი არა, ურთიერთშეხვედრაში გატანილ-გაშვებულმა კინკილა გოლმა გადაწყვიტოს.

მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა დღის უმთავრესი მოულოდნელობაა ტიტულ-მედლებით დახუნძლული რუსეთის წაგება საშუალოძალოვან საბერძნეთთან, რომელმაც საერთოდ პირველად გააღწია მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ სტადიაზე. სლავებმა ტუნისში რიხიანად დაიწყეს, ჯგუფში ხუთივე თამაში მოიგეს და პლეი ოფში ადგილიც ლამის დაბევებული ჰქონდათ, მაგრამ ზედიზედ მეორე მარცხით (წინა დღეს საფრანგეთთან — 22:25) გზა ისე გაიმრუდეს, რომ დღეს ტუნისთან მოგება იქნებ არც ეყოთ.

დასაწყისი ბერძნების იყო — სავას კარიპიდისმა და ალექსანდროს ალვანოსმა სამ წუთში თავისიანები სამი ბურთით დააწინაურეს — 3:0. რუსებმა შუა ტაიმში მოახერხეს ვითარების გამოსწორება და იური ეგოროვის შორიდან ზუსტი ტყორცნით წინაც გავიდნენ — 8:7. მერე მეტოქემ გაუყაიმა და ასე თანაბარი ბრძოლა 46-ე წუთამდე გააგრძელდა, მერე კი ორგზის ჩემპიონებს შავი დრო დაუდგათ — თორმეტი წუთის განმავლობაში ვერ შეძლეს ბრწყინვალედ მოთამაშე დიმიტრიოს კაფატოსის კარში გატანა, საკუთარში კი ექვსი მიიღეს და სამარცხვინო მარცხი იწვნიეს.

მასპინძელმა ტუნისმა ამჯერად ვერ გაიმარჯვა, თუმც არც წაუგია და კვლავაც ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება.

აიწყვიტა უსახელო-უტიტულო ნორვეგიამ. სკანდინავიელებმა, რომლებიც ათეულშიც კი არასდროს ყოფილან, ჯერ მოქმედ ჩემპიონ ხორვატიას მოუგეს (28:25), ახლა ოთხგზის ტრიუმფატორ შვედეთს და თუ დღეს ესპანელებსაც მიაყოლებენ, სამედლო ბრძოლას გააგრძელებენ.

არნახულად ჩაფლავდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გერმანია. მიყოლებით სამი მატჩი ბუნდესსაკრებს არასოდეს წაუგია. გერმანელებმა ვერ შეძლეს ხორვატებთან მსოფლიო და ოლიმპიურ ფინალებში წაგებისთვის რევანშის აღება. ის კი არა, მხოლოდ ათეულში დასარჩენად მოუწევთ ბრძოლა.

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან ტუნისი — რუსეთი, საბერძნეთი — ჩეხეთი, საფრანგეთი — სლოვენია, ხორვატია — სერბეთი, ნორვეგია — ესპანეთი და შვედეთი — გერმანია. შაბათ-კვირას კი ნახევარფინალური და ფინალური მატჩები გაიმართება.

გია ახალაძე



REUTERS რადეკისიდან

რუსებს ბოლო გოლი გრიგორიოს სანიკისმა გაუტანა

ჩემპიონს დიდი სისულელე მოუვიდა

ალისტერ კრეგი ოლიმპიური ჩემპიონების ძლევას დაეჩვია

„ბოსტონის დარბაზის თამაშებზე" 3000 მეტრზე რბენაში, გასულ უქმეებზე, 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანს კენენისა ბეკელეს წარმოშობით ირლანდიელმა ალისტერ კრეგმა აჯობა. სენსაციაა? ალბათ, არა, რადგან ერთი, რომ ბეკელს ბოლო თვე ტრავმიანი ჰქონდა და მეორე, ირლანდიელს ვარსკვლავების დამარცხება ჩვევაში გადაუვიდა



ალისტერ კრეგი ტოლს აღარავის უდებს

პერძოდ, 2003 წელს კრეგის მსხვერპლი გახლდათ ნოა ნგენი, ხოლო ახლა, როგორც მოგახსენეთ, ნგენის ზედ ბეკელეც დააყოლა — ორივე კი ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ.

„გასულ ზაფხულს მთლიანად დაცხადია, ოლიმპიადაზე, ბეკელეს ვერავინ შეედრებოდა — ამბობს ბოსტონის გარბენის გამარჯვებული — ის სხვა სამყაროდან იყო, მაგრამ ამ თვეში ისევ ადამიანად იქცა და აშკარად ვგრძნობდი, რომ მსოფლიო რეკორდის ტემპითაც რომ ერბინა, ტოლს არ დავუდებდი. მოკლედ, ისევე, როგორც ადრე, ახლაც ჩემი ერთ-ერთი კერპის წინაალმდეგ გამოვედი.

ადრეო, რომ ვამბობ, რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს მოგახსენებთ, როდესაც ნოა ნგენის გავეჯიბრე და მინდა გითხრათ, რომ ის, გარბენი ჩემთვის კარიერის შემცვლელი გამოდგა. მე ჯიქურ წავედი. იცით, ასეთ დროს არ ფიქრობ, რომ ის, ვისაც ეჯიბრები, ოლიმპიური ჩემპიონია. ჩემთვის მხოლოდ ერთი რამ არსებობდა — ჩქარა უნდა გავქცეულიყავი.

ახლა კი ვიცოდი, რომ ეთიოპიელს პრობლემა ჰქონდა: თავიდანვე ძალიან სწრაფად გაიქცა და მივხვდი, რომ არ უნდოდა ვინმე ადევნებოდა. სწორედ მაშინ ვუთხარი ჩემს თავს, მიდი, ამ გარბენისგან რამე გამოწურე—მეთქი. არ მინდოდა ნელა დამეწყო, ბოლოში ავჩქარებულიყავი და საბოლოოდ ხელთ არაფერი შემრჩენოდა. ერთი სიტყვით, შემოთავაზებულ ტემპს ავყევი და ერთ მომენტში იგიცა და მარკოს გენეტიც ზურგსუკან ჩამოვიტოვე.

მაგრამ ისინი ისეთი მორბენლები არიან, რომელთა ჩამოტოვება მაშინ, როდესაც წინ კიდევ 1200 მეტრია, ზაადრეეია. ამიტომაც მარკოსი მაინც წინ გავუშვი და მივყევი. გეგმის თანახმად, ბოლო 500 მეტრზე განსაკუთრებით აჩქარება მინდოდა. ეს ჯიუტად, მიზნად მქონდა დასახული და არ დაგიდევდით ამ აჩქარების გამო გული წამივიდოდა თუ პირიქით, კარგ გუნებაზე დავდგებოდი. თან, მინდა გითხრათ, რომ „რეჯი ლუის ცენტრი" დიდებული სარბიელია. მართალია ტრიბუნები ხალხით არ იყო გადაჭედილი, მაგრამ აღმაფრენა ნამდვილად ეტყობოდა გარემოს. იცით, როდესაც ბეკელე წამომეწია, ისეთი ღრიალი ატყდა, მეგონა ვიღაცამ ხელი მკრა და ბიძგი მომცა—მეთქი.

ფიქრით ბევრი არაფერი, გამიფიქრია. ანკი, რა უნდა იფიქრო როდესაც ასეთი სპორტსმენი გეწევა და გისწრებს. იმ მომენტში არც ის იცი, ვინ რამდენის შემძლე და რამდენად ძლიერია. ამიტომ ერთადერთი, რაც გმართებს, მწვრთნელის დავალების ერთგულებაა. თუ რამე გავიფიქრე, სწორედ ეს გავიფიქრე, რაც მაკდონელმა მითხრა, ის უნდა გავაკეთო-მეთქი. ხომ ფაქტია, რომ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ბეკელე მომიგებს, მაგრამ იმ დღეს სარბენ ბილიკზე მხოლოდ იმიტომ ვიყავი, რომ ფრთები შემსხმოდა, ბორბლები გამომება და ეთიოპიელის შესაძლო შეცდომა გამომეყენებინა.

არ ვიცი, მისი ცუდად ყოფნის ბრალი იყო თუ ალალად შეეშალა, მაგრამ რომ გადამასწრო და პირველობა დაიბრუნა, სულელურად მოუვიდა, ხოლო, როდესაც თავად მიხვდა, რომ შეცდა, სწორედ მაშინ ავუჩქარე და გამოვიჭირე.

აი, ამის მერე კი ბევრი ნამდვილად არაფერი მახსოვს. პირდაპირ ფინიშის ხაზისკენ გავვარდი. ღმერთო, რა დიდებული გრძნობა დამეუფლა. უბედნიერესი კაცი ვარ, ამ შეჯიბრებაში რომ მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე".

ბოლოს კი ალისტერ კრეიგის ბიოგრაფიაზეც ვთქვათ: ის სამხრეთ აფრიკაშია დაბადებული, ხოლო რბენა აშშ-ში, ტეხასში „საუთ მეთოდისტ უნივერსიტეტში" დაიწყო. შემდეგ ერთიხანობა სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა დრო რომ გავიდა, ისევ ამერიკაში გადაბარგდა და არკანზასის უნივერსიტეტში მწვრთნელის, ჯონ მაკდონელის თვალთახედვის არეში მოექცა. მძლეოსნის სერიოზული კარიერაც მაშინ დაიწყო...

ტუტა სიხარულიძე

ორწლიანი უქმობის შემდეგ პატაიურ ტურნირზე მობრუნებულსა და პირველ წრეში გერმანელ მარლენ ვაინგარტნერთან 6:1, 2:6, 2:6 დამარცხებულ მარტინა ჰინგისს იმ დღეს შვეიცარიელი ჟურნალისტები გაესაუბრნენ. მათ უწინარესად ის აინტერესებდათ, 25 წლის პირველოსანყოფილი სერიოზულად აპირებს ამქარში დაბრუნებას თუ ეს მხოლოდ ერთჯერადი გაბუქნავება იყო

ვერ დავბრუნდები, რადგანაც კალათბურთის თამაში არ ვიცი

— ნამატჩევს თქვენ დედასა და მწვრთნელ მელანი მოლიტორთან კამათობდით, რა მოხდა, მარცხის გამო ხომ არ გამუნათებდათ?

— არა, ჩვენ უბრალოდ მატჩზე ვმსჯელობდით, დამუნათებით კი აბა, როგორ დამამუნათებდა, როცა განსაკუთრებული მოლოდინიც არ გვქონია. ჯერ ერთი, შვეიცარიიდან აქ გადმოფრენილს ტემპერატურის 40-გრადუსიანი ცვლილების ატანა მომიხდა. მეორეცაა და ამ მატჩამდე ორი წლის განმავლობაში არსად მეთამაშა. სწორედ ყველაფერი ამის გამო თავიდან თუმც რიგიანად ვიჩოგნავე, მერე და მერე ვაინგარტნერის წნეხის გასაძლებად ილაჯი არ მეყო.

— პირველ სეტში მართლაც დამთრგუნველი უპირატესობა გქონდათ...

— დიახ, ამ სეტში მგონი ერთხელაც არ მიმიქარავს. მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში ასევე მობილიზებულად და სტაბილურად ჩოგნაობა საამმომენტოდ ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

— თუმცა ძველებურისებრი, უბასრესი დარტყმები წაგებულ სეტებშიც მიგდიოდათ.

— ჰო, ტექნიკა ჯერ არ დამიკარგავს. ამ თვალსაზრისით ფორმაში შესასვლელად მცირე ვარჯიშიც მყოფნის. მაგრამ თუკი ყველა ბურთის დასადევნი ძალა არა გაქვს, ტექნიკა გინდა გქონია, გინდა არა. ეგეც არ იყოს, დღევანდელი ჩოგბურთი რაფინირებულად თამაშის საშუალებას სულ უფრო და უფრო ნაკლებად იძლევა. თან ტანითაც პატარა ვარ და არც ისეთი გლაჯუნა მოწოდება მაქვს, შუქი ქულები რომ ვიშოვო. როცა ახლა მოთამაშე გოგონებს ვუყურებ, ველარ ვარჩევ, ეგენი ჩოგბურთელები არიან თუ კალათბურთელები.

— მაგრამ ხალხს რომ თქვენი ჩოგბურთი კვლავაც ძველებურად ენატრება?

— რა გითხრათ, ბოლო ორი წელია, ჩემთვის, ჩემს გემოზე ვცხოვრობ და ძალიან ბედნიერიც კარ. ხოლო საიმისოდ, რათა კვლავ ძალალ დონეზე შევძლო თამაში, ძალიან ბევრი უნდა იშრომო. სანამ ჩოგბურთიდან წავიდოდი, ათი წელი სწორედ ასეთ გაუთავებელ შრომაში ვიყავი, ამიტომაც ულრმეს პატივს ვცემ ყველას, ვინც დღესაც ასეთი რეჟიმით ცხოვრობს. ოღონდ მინდა თუ არა, მე დავუბრუნდე ასეთ რეჟიმს, აი, ეს კი ჯერ არ გადამიწყვეტია.

— ესე იგი, დაბრუნებას არ აპირებთ?

— რაიმე განსაკუთრებული გეგმა ამ თვალსაზრისით მართლაც არა მაქვს. სალაღობო მატჩებს ალბათ კიდევ ვითამაშებ, მაგრამ ტურნირებისა კი რა მოგახსენოთ.

— უახლოეს დღეებს კი, რამდენადაც ვიცი, ისევ ტაილანდში დაჰყოფთ.

— დიახ, აქ მოულოდნელად კარგი არდადეგები გამომივიდა. მინდა, აქაურ კუნძულებს შორის იახტაობით გული ვიჯერო. მერე კი ალბათ ფუკეტში გადავფრინდები, რათა იქ დაცუნამებულთა დასახმარებლად გასამართ საქველმოქმედო ღონისძიებაში ვიმონაწილეო.

ტომპსონს მოსკოვისკენ გახედვაც არ უნდა

მას შემდეგ, რაც მონრეალს მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი ფინანსური პრობლემების გამო ჩამოართვეს. მისი მიღების სურვილი ათენმა და ბერლინმა გამოთქვა. მერე, როგორც ვიცწყებოდით, ამგვარი საღერღელი მოსკოვსაც აეშალა და ორიოდე დღის წინათ ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) რუსეთის დედაქალაქი შეჯიბრების სამასპინძლო კანდიდატად დაამტკიცა.

ეს ამბავი არ ეჭაშნიკა ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალან ტომპსონს. მან განაცხადა, რომ არ სურს ამ ჩემპიონატის მოსკოვში გამართვა. ტომპსონმა განმარტა, რომ 2002 წელს მოსკოვში ჩატარებულ პატარა წყალში მსოფლიოს ჩემპიონატისას ავსტრალიელ სპორტსმენებს რაღაც უცნობი ავადმყოფობა შეეყარათო.

ავთანდილ ბაკურიელი

დეზოკსიმეტილტესტოსტერონი ან შგრალოდ დტმ

კანადელმა სწავლულებმა განაცხადეს, რომ აღმოჩენილია ახალი სტეროიდი, რომელიც საშუალებას იძლევა დოპინგ-ტესტის წინ დაფაროს გამოყენებული აკრძალული პრეპარატის კვალი. სპეციალისტთა თქმით, მათ არ აქვთ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომელიც დაადასტურებს ვინმეს მიერ ახალი აკრძალული პრეპარატის გამოიყენებას. ახალ პრეპარატს უწოდეს დეზოკსიმეტილტესტოსტერონი ან უბრალოდ დტმ.

როგორც მსოფლიოს ანტიდოპინგური საგენტოს წარმომადგენელი თქვა, ეს არკრძალული ნივთიერება ანონიმური შეტყობინების შედეგად აღმოაჩინეს.



REUTERS ტოკიოდან

შარაპოვა ტოკიოში

ავსტრალიის ღია პირველობა ჩოგბურთში მოთავდა და ბევრმა ტოკიოში გადაინაცვლა. ვინც ავსტრალიაში არ ყოფილა, იაპონიაში ისინიც ჩადიან, იქაურ ცნობილ ქალთა ტურნირში სათამაშოდ. იქაა მარია შარაპოვაც, უიმბლდონის მომგები რუსთა ახალი ვარსკვლავი.



REUTERS დოჰადან

უდაბნოს გზა

ყატარის ტური: უდაბნოზე გამავალი ველოგზა. 143 კილომეტრის სიგრძის პირველი ეტაპი ბელგიელმა ტომ ბონენმა მოიგო, რომელსაც კოხტა არაბულ კარავში ჩამოუსხეს ჩაი. კაი გაძლება უნდა უდაბნოს, აქლემმა იცის, ველომრბოლები კი სწავლობენ.



REUTERS დოჰადან

ნაიქცა

სამთო თხილამურობის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღე სანტა კატერინაში და პირველი ტრავმა. ამერიკელი ლინდსი სი კილდოუ ვარჯიშისას ძალიან ცუდად წაიქცა, თუმცა კი ბედმა გაუღიმა და რაიმე სერიოზულს გადაურჩა.

REUTERS სანტა კატერინადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიბრიანული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვამაკიძე, ნოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვიო ახალაძე, ლევან ელაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge